

Digitized by srujanika@gmail.com





26000-31

ი. ზურაბ გვარი

თ თ თ ა ა ა კ ა ნ თ

სამი ჯილდოვანი

29714

13 თ რ ტ რ ე გ ა



ტერმინი და შემოქმედება

1939



პ/მგ. რედაქტორი—ალ. სიგუა
გადაეცა წარმოებას 27/II—1939 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/VI—39
მთავლიტის № 2131
შეკვეთა № 254
ტირაჟი—3000
ზომა წიგნისა 4×6 კვ.

გამოშომცემლობა „ტექნიკა და მრომა“-ს სტამბა
ფურცელაძის ქ., № 5.



ა. 60871

შესავალი ზერილი

„რაც არ იშვის — არ ანათებს“

ა კ ა კ ი

სწორედ ამ თვითშვას და ნათებას, რამ-
დენადაც ეს ხელოვანის შემოქმედებაში გა-
მოვლინდება, ეხება ილია ზურაბიშვილის ლი-
ტერატურული ესკიზი, ვანო სარაჯიშვილის
პოტრეტიად მოცემული.

ამ პორტრეტში ასახულია ვანო სარაჯიშვი-
ლის შემოქმედი პიროვნება, მისი არტისტუ-
ლი ინდივიდუალობა, როგორც მომღერლისა
და როგორც სცენის მოღვაწისა. ვით პორ-
ტრეტი, ესკიზი ვიწროდ არის შემოფარგლუ-
ლი იმით, თუ რა იყო ვანო სარაჯიშვილი
სცენაზე, რაში გამოიხატებოდა საიდუმლო-
ება მისი მომხიბლავი ნიჭისა.

იგი სრულიად არ ეხება მის ცხოვრებას
სცენის გარეშე, არ იძლევა ბიოგრაფიულ ცნო-
ბებს.

იქნება ეს სცენიური პორტრეტისათვის საჭირო არ იყოს, მაგრამ მკითხველისათვის უეჭველად დიდ ინტერესს წარმოადგენს.

ცხოვრების ფაქტებს, რალა თქმა უნდა, მჭიდრო კავშირი აქვს მის მხატვრულ პიროვნებასთან. ამ ფაქტებს შეუძლიანთ გვიჩვენონ, რა უწყობდა და რა უშლიდა ხელს, რომ გაფურჩქვნილიყო ისეთი თვალსაჩინო ფიგურა, როგორიც ვანო სარაჯიშვილი იყო ჩვენს სასცენო ხელოვნებაში.

რასაკვირველია, ასე სახელდახელოდ ვანოს ვრცელი ბიოგრაფიის დაწერა—ცხოვრების მოვლენათა ანალიზით და მისი მოღვაწეობის შესაბამი ეპოქის სურათის გაშლით—ადვილი არ არის და ქართული ოპერის ისტორიასთანაა დაკავშირებული, ვინაიდან ვანო და ქართული ოპერა უერთმანეთოდ—წარმოუდგენელნი არიან.

ამიტომ ჩვენ ვჯერდებით მხოლოდ მშრალი ბიოგრაფიული ცნობების მოწოდებას, ცხოვრების მოვლენათა მხოლოდ თარიღებად აღნიშვნას.

იქნება, ამან მცირედად მაინც შეავსოს ზე-
მოაღნიშნული ხარვეზი.

ვანო სარაჯიშვილის დაბადების შესახებ არ
არსებობს სწორი ცნობები: 1923 წელს ვა-
ნოს იუბილესთან დაკავშირებით გამოცემულ
პატარა ბროშურაში ვანოს დაბადება აღნიშ-
ნულია 1887 წლით.

სრულიად შემთხვევით ყურადღება მი-
ვაქციე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის
სახელობის ოპერისათვის სანდრო ინაშვი-
ლის მიერ გადაცემულ პორტრეტს, სადაც
ვანოს დაბადება აღნიშნულია 1879 წლით. ვა-
ნოს დაბადების აღნიშვნის ასეთმა სხვადასხვაო-
ბამ ჩემში ეჭვი გამოიწვია და ამიტომ მივმარ-
თე ცენტრალურ მმაჩს, მაგრამ ცენტრალურ
მმაჩის არქივში არავითარი ცნობები არ აღ-
მოჩნდა ვანოს დაბადების ნამდვილი თარი-
ლის დასადგენად. ასეთი ცნობა არც სიღნაღში
აღმოჩნდა, სადაც ვანო დაიბადა.

ვანოს უფროსი ძმის ანდრია სარაჯიშვილის
ცნობით, ვანო დაიბადა 1879 წლის 4 მაისს

იხ. „ვანო სარაჯიშვილი“ 1923 წლის გამოც. გვ. 10.

სილნალში განათლებით ინჟინერ-ტექნიკოლოგ ხოლო თანამდებობით ნოტარიუსის პეტრე სარაჯიშვილის ოჯახში. ვანოს მამას პყოლია 12 შვილი—10 ვაჟი და 2 ქალი. ვანო მისი მერვე შვილი იყო.

პეტრე სარაჯიშვილის ოჯახი განთქმული ყოფილა სიმღერის კულტით,—თითქმის ოჯახის ყველა წევრი სიმღერის განსაკუთრებული ნიჭით თურმე იყო დაჯილდოებული.

ვანოს დედა ეფემია რუსიშვილი-ყორჩიბაშის ასული განსაკუთრებით ზრუნავდა შვილებისთვის და ყოველნაირად ხელს უწყობდა მათ კულტურულ აღზრდა-განვითარებას.

1887 წელს ვანოს მამა გარდაიცვალა და უკვე 1888 წელს მთელი ოჯახი თბილისში გადმოსახლდა. ამავე წელს ვანო და მისი ძმა გიორგი თბილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში შევიდნენ, სადაც ვანომ დაპყო 9 წელი-წადი. ამ ხნის განმავლობაში ვანომ სწავლებისას გამოიჩინა დიდი ენერგია და სიმღერის იშვიათი ნიჭი. სასწავლებელში იგი ლოტბა-რობდა კიდეც. სკოლაში ყოფნის დროს ვანოს ვიოლონჩელოზე დაკვრას ასწავლიდა პირვე-

VIII

ლი ქართველი ვიოლონჩელისტი ივანე სარა-
ჯიშვილი, რომელმაც ვანოზე დიდი გავლენა
იქონია. როგორც სკოლის მასწავლებლები,
ისე ამხანაგი მოწაფეები განსაკუთრებული
სიყვარულით ეკიდებოდნენ მას.

ვანოს ძალიან აღრე—6 წლიდან—დაუ-
წყია სიმღერა. სათავად-აზნაურო გიმნაზიაში
8 წლის ვანო ჩაურიცხავთ მოსწავლეთა გუნდში,
საღაც მეორე კლასიდან უკვე გუნდს ლოტ-
ბარობდა. 17 წლის ვანო გიმნაზიას სტოვებს
და შედის თბილისის სამუსიკო სასწავლებელ-
ში ვიოლონჩელოზე დაკვრის შესასწავლად.
ივანე სარაჯიშვილის გარდა კვალების შემდეგ
ვანოს მუსიკალურ აღზრდას 2 წლის განმავ-
ლობაში ხელმძღვანელობს დუმინსკი. ვანოს
უახლოვდება ჯარში წასვლა, ამიტომ ის მო-
ხალისედ შედის ერთ-ერთ პოლკში.

მეგობრები და ნაცნობები მას ურჩევენ სიჭ-
ლერის სერიოზულ შესწავლას, ვინაიდან ყვე-
ლა ხედავს, რომ იგი შესანიშნავი ხმის (ტე-
ნორის) პატრონია. ვანომ უსახსრობის გამო
ვერ მოახერხა ამხანაგების რჩევის განხორცი-
ელება და გადასწყვიტა სამოქალაქო სამსახურ-

ში შესვლა, რათა ორიოდე გროშით თავი ერჩინა და თანაც ხმაზე ევარჯიშნა.

ვანო ჯარის ნაწილებიდან გამოდის და თხოვნა შეაქვს თბილისის ხაზინაში მოხელედ მიღების შესახებ, მაგრამ რუსეთის ორთავიანი არწივი არც თუ მაგრე რიგად ხელგაშლით იღებდა ქართველებს შეფის სახელმწიფო დაწესებულებებში.

ვანოსაც — ისე, როგორც მრავალ სხვას — ბედ-მა არ გაულიმა. შედის სანდრო კავსაძის ხოროში და მომავალ დიდ ლირიკულ ტენორს თოვლ-ჭყაპში უხდება გალობა და მიცვალებულების გასვენება.

სწორედ იმ ხანებში სახაზინო პალატას მეთაურობს ვინმე მიხაილოვი, რომელიც, ცოტა არ იყოს, ადამიანურად ეპყრობოდა ქართველებს. ამასთანავე იგი მოქეიფე და სიმღერის მოყვარული ყოფილა.

„ერთხელ თურმე სახაზინო პალატის უშედის რომელიღაც თვალსაჩინო მოხელეს საღილს უმართავდნენ. ამ საღილს მიხაილოვიც უნდა დასწრებოდა. ხაზინის ერთმა მოხელემ, დიმ. ბახუტაშვილმა, რომელიც ვანოს თას-

ლიბს უწევდა და სამსახურში მიღებინებას
ცდილობდა, ვანოც წაიყვანა სადილად იმ იმე-
დით, რომ მიხაილოვი მოისმენს ვანოს სიმღე-
რას, მოეწონება და შეიძლება სამსახურშიაც
დანიშნოსთ. გახუტაშვილის განხრახვა გამარ-
თლდა მოულოდნელი გამარჯვებით. მიხაი-
ლოვი ისე მოიხიბლა ვანოს ხმით და სიმღე-
რით, რომ, ხაზინის მაკივრად, სახაზინო პა-
ლატაში მიიღო, მერე ისეთ ადგილზე, რომ
საქმე სულ ცოტა ჰქონდა და ჯამაგირი კარ-
გი. მიხაილოვისავე დახმარებით ქართლ-კახე-
თის თავაღ-აზნაურობამ ვანოს სტიპენდია და-
უნიშნა, და, ამრიგად, იგი 1903 წ. პეტერ-
ბურგს გაემგზავრა სიმღერის შესასწავლად.
შემდეგში, უკვე პეტერბურგში მყოფს, ვანოს
სტიპენდია დაუნიშნა აკრეთვე ცნობილმა
ქველმოქმედმა დავით სარაჯიშვილმა.¹

პეტერბურგში ვანომ სწავლა დაიწყო რუ-
სეთის შესანიშნავ მომღერალ (ბარიტონი)
პრიანიშნიკოვთან. ამ პროფესორთან მოსწავ-

¹ იხ. „ვანო სარაჯიშვილი“. 1923 წლის გამოცემა
83.—12.

ლეთ მიღება მეტისმეტად ძნელი საქმე იყო, რაღანაც აუარებელი მოწაფენი ჰყავდა. ბოლოს როგორც იყო, გავლენიან პირთა დახმარებით, პრიანიშნიკოვი დათანხმდა მხოლოდ მოესმინა ვანოს ხმა—სათანადო შეფასებისათვის; მოწაფედ მიღებაზე კი გადაჭრილი უარი განაცხადა. ხოლო, როცა ვანომ კავატინა უმღერა „ფაუსტი-“დან, — პროფესორი ისეთ აღტაცებას მიეცა, რომ არამცთუ მიიღო იგი მოწაფედ, სასყიდელზედაც უარი განაცხადა. პრიანიშნიკოვისაგან ვანო ცნობილ პროფესორ ქ-ნ პანაევა-კარცევასთან გადავიდა. ორი წლის სწავლების შემდეგ ქ-ნმა პანაევა-კარცევამ 1906 წელს გაზაფხულის სეზონში მოუხერხა ვანოს დებიუტი იტალიურ ოპერაში, საღაც მღეროდნენ შესანიშნავი მომღერალნი: ქ-ნი ვაიდაკოროლევიჩი, ბარიტონი ტიტა რუფო და სხვ. პირველ გამოსვლისთანავე ალფრედის როლში („ტრავიატა“) ვანო ისე მოეწონა საზოგადოებას, რომ იგი სრული თანამოზიარე გახდა სასცენო გამარჯვებისა — ნ. ვაიდა-კოროლევიჩთან ერთად.¹

¹ იხ. „ვანო სარაჯიშვილი“. გვ. 14. 1923 წელი

1907

1906 წელს შემოღვომაზე ვანო თბილისში ჩამოსულა საგასტროლოდ და უმღერია ოპერაში ალფრედისა, ჰერცოგისა („რიგოლეტო“), ფაუსტისა და ლენსკის („ევგენი ონეგინი“) პარტიები. ვანომ ამ გასტროლებზე შესანიშნავად გაიმარჯვა, თეატრი მუდამ გაჭედილი იყო და მომღერლის გამარჯვებაც ხომ აქედან იწყება.—განუწყვეტელი ტაშის გრიალი ჰუარავდა ვანოს ნაზ მელოდიურ ხმას.

ვანო არ ისვენებს და 1906 წელს შიემგზავრება იტალიაში (მილანში) და ისმენს მსოფლიოში განთქმულ მომღერლებს.

მილანში ვანო გაეცნო საგასტროლოდ ჩამოსულს შალიაპინს, რომელმაც ვანოს წინადადება მისცა გაპუოლოდა პარიზში მუსორგსკის ოპერა „გორის გოდუნოვის“ წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად... შალიაპინის თაოსნობით მილანის ლა-სკალას თეატრში გამოცდის შემდეგ, ვანო პარვაში იქნა მიწვეული პირველ ტენირად. პარმიდან ტრიესტში გაიწვიეს, მაგრამ ამ დროს პეტერბურგის ანტრეპრენიორის გვიდის წარმომაღგენენელი დუმა პეტერბურგისათვის დასს აღგენდა

მილანში. სხვათაშორის, ამ დასში მოწაწილეობას იღებდნენ თლიმპია ბარონატი, ანსელმი, ჯირალდონი და სხვანი. დუმამ ვანოც მიიწვია. ეს იყო 1909 წელს (იხ. იქვე). 7

პეტერბურგში წასკლამდე ვანო საგასტროლოდ თბილისში დაბრუნდა და მან, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პარტიებისა, იმღერა კიდევ ნაღირის („მარგალიტის მაძიებელნი“) და ვილჰელმ მაისტერის („მინიონი“) პარტიები.

В четверг, 12-го октября, в казенном театре была поставлена „Травиата“. Огромный зал театра был переполнен сверху до низу публикой; масса публики—в проходах. Еще до начала спектакля были выкинуты в театральных кассах аншлаги „на сегодня все билеты проданы“. ასე სწერდა 1906 წელს გაზეთ „Тифл. лист.“ „ტრავიატაში“ ალფრედის როლში ვანო სარაჯიშვილის გამოსვლის გამო.

ამრიგად ვანო უკვე თვალსაჩინო ხელოვნიად წარუდგა თბილისის საზოგადოებას. იტალიაში ყოფნამ, იქაურ დიდ მომღერალ-

თა მოსმენამ, უცხო და მუსიკალურად გულ-ხმიერი, მაგრამ უინიანი საზოგადოების წინაშე საკმაოდ ხშირად გამოსვლამ მის იშვიათ მუსიკალობას შესძინა უფრო მეტი ოსტატობა ბუნებრივ ნიჭთა გამოყენებისა და თანაც მიაჩვია იგი სცენას.

ჰეტერბურგის შემდეგ ვანო მღეროდა მაშინდელი რუსეთის თითქმის ყველა თვალსაჩინო ქალაქში, სხვათაშორის ციმბირშიც და ბაქოშიც. მაგრამ სამუდამოდ მაინც დედა-ქალაქში დამკვიდრდა.

იმდროინდელი ყველა რეცენზენტი დიდი აღტაცებით სწერს ვანოს მომჯადოებელი ხმის შესახებ.

1906 წელს გაზეთის ერთი რეცენზენტი ვანო სარაჯიშვილის „რიგოლეტოში“ ჰერცოგის პარტიის შესრულების გამო სწერდა:

„მეტად აღტაცებულ მსმენელს არ შეიძლება თვალში არ მოხვდეს სანიმუშო უცვლელობა ბ. სარაჯიშვილისა, როგორც-მომღერალ-მხატვრისა. მას, როგორც სჩანს, სურს იცოცხლოს და ისუნთქოს სიმღერის ხელოვნე-

ბის მხოლოდ და მხოლოდ სიმართლითა და
პოეზიით, რომელთაც იგი თავისი საოცარი
ნიჭისა და მომხიბვლელობის ძალით ცოცხ-
ლად და მხატვრულად აერთებს ერთ მთლია-
ნობად მსმენელის წარმოდგენაში. ეს მოვლენა
ძალიან იშვიათად გვხვდება სცენაზე და ჩვენ
არასოდეს უარს არ ვიტყვით მივესალმოთ
ასეთ ტალანტს, რომელსაც შეუძლია შეჰქმნას
იგი.

მაინც, რაში მდგომარეობს ბ. სარაჯიშვი-
ლის, როგორც მომღერალ-მხატვრის მომჯა-
დოებელი ძალა?

იმ ძალაში, რომელიც მას თვით ბუნებამ
შისცა და რომელსაც ტალანტი ეწიდება. ჩვენ
პრაქტიკისა და შრომის მოყვარულობისაგან
არ უნდა მოველოდეთ იმ წმინდა ცეცხლს,
რომელსაც ჯერ კიდევ ძველნი განსაკუთრე-
ბული ღმერთების რჩეულ მომაკვდავებზე ზე-
გავლენას მიაწერდნენ. ოჯლის მოწურვით ვე-
რავინ ვერ პპოვებს იმ ცხოველმყოფელ წყაროს
ცეცხლისას, რომელიც ნიჭისა და დაუჭქნო-
ბელი მშვენივრების ნაპერწკლებს აფრქვევს.

თავისთავად გამოუნათებს იგი ბუნების საყ-
ვარელთ და რჩეულთ.

ჩვენ გვქონდა სიამოვნება წაგვეკითხა თბი-
ლისის გაზეთების გამოხმაურება — ამ არტის-
ტის შესახებ; ეს თავისებური კრიტიკა, რო-
მელიც ცივი, ზუსტად მოფიქრებული და გულ-
დასმით დასწავლილი მუსიკალური გამოთქმით
აერთებს შრომას და ნიჭს. ის, ვინც იცნობს
„რიგოლეტოს“ პარტიტურას და მოუსმენია
ბ. სარაჯიშვილისთვის, ალბათ შეამჩნევდა იმ
სამკაულს, რომლითაც სურდა შეემკო ახალ-
გაზრდა მომღერალს ჰერცოგის პარტია... ამ
მხრით ბ. სარაჯიშვილი განსაკუთრებული მომ-
ღერალ-მხატვარია, რომელსაც შეიძლება უს-
მინო დაუსრულებლად. ჩვენ არც ვარჩევთ ამ
მსახიობის სიმღერას, ვერავითარი ანალიზი,
ვერავითარი მოგონებანი ვერ დაგვიბრუნებს
იმ ესთეტიკურ ალტაცებას, რომლითაც შეპყ-
რობილი იქნა საზოგადოება.

მივესალმებით ჭეშმარიტი, კეთილშობილი
ხელოვნების სინათლისა და სითბოს ამ ზეშ-
თაგონებულ მატარებელს!!“.

ზემომცვანილი ვრცელი წერილი ვანოს შესახებ დაიწერა 1906 წელს მეფის შავი რეაქციის დროს, როდესაც იდევნებოდა და იღრჩობოდა პატარა ერების ნაციონალური კულტურა. ამ რეცენზიიდან სჩანს, თუ როგორ აფასებდა მთელი საზოგადოება ამ ჯადოქარ მომღერალს.

ვინ გაბედავდა ასეთი აღფრთოვანებული წერილის დაწერას ქართველი არტისტის შესახებ მეფის ხელისუფლების დროს, მაგრამ ფაქტი იყო, რომ ვანო უბრწყინვალესად ასრულებდა თავის პარტიებს და საზოგადოებაც აღტაცებით უკრავდა ტაშს და ეს რეცენზიაც ამისი გულთბილი გამოხმაურება იყო.

ვანოს, როგორც შესამჩნევ არტისტს, რასაკვირველია, შეეძლო ყველგან სასურველი ყოფილიყო, მით უფრო, რომ თანდათან ძალიან დიუი რეპერტუარი შეიმუშავა. ლირიკული პარტიების გარდა, იგი შემდგომ დრამატიულ პარტიებზედაც გადავიდა (დონ-ხოზე „კარმენში“, გერმან „პიკოვაია დამაში“, რაული „ჰუგენოტებში“, რადამესი „აიდაში“).

მაგრამ ძალიან ეძნელებოდა მუდმივი „ხეტიალი“ აქეთ-იქით და მეტისმეტად შეთვისებული იყო სამშობლო-ქვეყანასთან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას—ვანო განსაკუთრებით დიდ შუშაობას ეწეოდა ჩვენი ოპერის თეატრში. იგი, რომ იტყვიან, გაჭირების ტალკვესი იყო: ამათლიმ არტისტის უეცარი ავადმყოფობის გამო ხშირად უხსნია ვანოს თეატრი უხერხული მღვიმარეობიდან და გამოსულა სხვის მაგივრად. ასეთ შენაცელებას საზოგადოება ყოველთვის აღტაცებით ხვდებოდა, ვინაიდან ვანო თბილისის საზოგადოების უსაყვარლესი არტისტი იყო.

ამას გარდა, მისი მონაწილეობა ქართულ ოპერებში თითქმ სავალდებულო მოვალეობა იყო, ვინაიდან ჩვენი კომპოზიტორები პირველი ტენორის პარტიებს თავიანთ ოპერებში სწორედ მისთვის ჰქმნიდნენ და უფარდებდნენ მის არტისტულ ინდუვიდუალობას.

1924 წელს ვანოს გარდაცვალების დღეებში ჩვენი დიდი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი სწერდა:

„ის იყო ერთი იმ იდეალთაგანი, რომელიც თავის მომხიბლავი სიმღერით, ქართველ მუსიკოს-კომპოზიტორებს სულს გვიდგამდა და გვაქეზებდა ჩვენს შემოქმედებით მუშაობაში. ის იყო ერთი იმ ბევნიერ მიზეზთაგანი, რომელმაც ჩვენში ისე მოულოდნელად, ერთბაშად თავი წამოაყოფინა იმისთანა უშალლეს და რთულ მუსიკალურ ფორმას ვაკალური ხელოვნებისას, როგორიც არის ოპერა“.

ამ მხრივ ვანოს ღვაწლი ფასდაუდებელია და ისტორიული შნიშვნელობისა ჩვენი მუსიკალური ხელოვნებისათვის. ქართული ოპერების გმირების შესრულება ვანომ კვალწაუშლელ ტრადიციად დასტოვა.

საბჭოთა მთავრობამ, საბჭოთა ხალხმა იცის რჩეულ აღამიანთა ღირსეული დაფასება, თავისი ქვეყნისანი იქნებიან ეს აღამიანები თუ უცხო ქვეყნისა.

ვანოსაც წილად ხვდა ასეთი ღირსეული შეფასება. 1923 წლის მაისში მთავრობის ინიციატივით და მთელი ხალხის მონაწილეობით მოეწყო ვანოს 20 წლის მოღვაწეობის იუბილე, რომელზედაც ვანო ძველ დროს თავის

დღეში ვერ იოცნებებდა. ამ იუბილესთან დაკავშირებით მას მიენიჭა სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

მოსალოდნელი იყო, რომ ვანო კიდევ კარგა ხანს ემსახურებოდა საბჭოთა ახალ კულტურას, შესძლვნიდა ხელოვნებას არაერთ ახალმხატვრულ სახეს, ხელს შეუწყობდა თავისი მუშაობით და ცოცხალი მაგალითით ახალგაზრდების გამოვლინებას და კაღრების აღზრდას.

მაგრამ იუბილეს შემდეგ გაიარა მხოლოდ ერთმა წელიწადმა და ანაზღეულად ვანო ხელიდან გამოგვაცალა გულის დაავადებამ.

იგი გარდაიცვალა თითქმის სულ ახალგაზრდა — 45 წლისა.

იშვიათად დაშველოვიარებულა ასე კაეშნურად თბილისი და მთელი საქართველო, როგორც ვანოს სიკვდილის გამო. თამამად შეიძლება ითქვას — ჭირისუფლობრივი არა მარტო განსვენებულის მახლობელნი, ჭირისუფლობრივი მთლად საბჭოთა საქართველოს საზოგადოებრიობა, ჭირისუფლობრივი ნამდვილი გულისტკივილით, ნამდვილი ცრემლით, ვინაიდან ვანოსთან ერთად იმარხებოდა მისი, სა-

ზოგადოების, საუკეთესო ესთეტიკური განცდა-
ნი, მისი მხატვრული სიტკბოებანი.

და როდესაც ოპერის თეატრის აივნიდან
მაროს როლის („დაისი“) პირველმა აღმსრუ-
ლებელმა, მომღერალმა ქალმა პოპვაშ, ორ-
კესტრისა და ქოროს აყოლებით დაჰკვენესა
თავისი სამგლოვიარო „მწუხრი დაიწყო“ —
მრავალ ადგილას მოჩლვავებულ ხალხში გაის-
გა ნამდვილი გლოვა-ქვითინი.

ვანო დაკრძალულია თბილისის ოპერის თე-
ატრის ბალნარში, იქ, საღაც განისვენებენ
ხელოვნების დიდი მოამაგენი და დიდი შემოქ-
მედნი ზაქარია ფალიაშვილი და კოტე მარ-
ჯანიშვილი.

1939 წ. იანვარი

ପ୍ରକାଶ ପରିକାଳିତ ପତ୍ରରେ

ଅନୁଷ୍ଠାନିକ

* * *

ადამიანის ხმას ვერც ერთი საკრავი ვერ
შეედრება გრძნობის ალძვრაში... ემოციურად
ნაკლებად მეტყველ ფორტეპიანოზე რომ არა
ვთქვათ რა, თვით ისეთი სრულყოფილი საკ-
რავი, როგორიც ვიოლინოა და ვიოლონჩელო,
ქედს იხრის ამმხრივ ადამიანის ხმის წინაშე:
ეს არც გასაკვირველია.

მაშინ, როდესაც მსმენელსა და მესაკრავეს
შორის არის კიდევ სხვა, უსულო, მაგრამ მე-
ტად მნიშვნელოვანი რამ, რასაც საკრავი
ჰქვიან, მომღერალსა და მსმენელს შორის
უშუალო, პირდაპირი კონტაქტია.

მართალია, ადამიანსაც თავისი ხმის გამო-
საცემად შთელი აპარატი აქვს — ზეერათა იო-
გები, ხორხის რეზონატორი და სხვ. — შეიძ-
ლება უფრო რთულიც, ვიღრე რომელიმე საკ-
რავია, მაგრამ ამ აპარატს ის მექანიზმური
იერი არა სდევს, როგორც ყოველ საკრავს,
რაც უნდა სრულყოფილი იყოს იგი.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ეს აპარატი თვით აღამიანშია მოთავსებული, მისი განუყოფელი ბუნებრივი ნაწილია, მისი სისხლი და ხორცი. საკრავი კი აღამიანს გარეთ არის თავისთავად და აუღირდება მხოლოდ მექანიკურად, როდესაც ხელოვანი მას ხელს შეახებს.

მესაკრავესაც და მომღერალსაც საერთო ისა აქვთ, რომ ესათუის მუსიკალური აზრი, რაც მათ მხატვრულ წარმოდგენაშია, თავიანთ საკრავებს უნდა გადასცენ. და სწორედ აი, ეს გადაცემაა დამახასიათებელი ერთისაც და მეორისაც. მე მგონია, ეს გადაცემა მოძლეურალში რეფლექტურად ხდება, თითქმ თოთონ იყოს საკრავი და თავისთავადად ჟღერდეს, როგორც ერთი მთლიანი ერთეული, რომლის შემადგენელი ნაწილები კომპლექსურად და თანაბრად არიან აღძრულნი. მესაკრავემ კი თავისი მხატვრული აღტყინება უნდა გადასცეს თავისთავად უსიცოცხლო საგანს, მისი არსების გარეშე მყოფს, და გააცოცხლოს იგი. აი, ამ უსულო საჯნის აუღირებაში, გაცოცხლებაში, ჩემის აზრით, არის მექანიზა-

ციის ელემენტები. და სწორედ ეს უკარგავს საკრავს სიცოცხლის იმ ნიშანწყალს, რაც ადამიანის ხმას ახასიათებს.

* * *

მავრამ, წარმოიღვინეთ, მომლერალთა უმეტე-
სობა, შეიძლება ითქვას — 80 პროცენტამდე, —
უსულო საკრავებს უფრო მოგვაგონებს, ვიდ-
რე კოცხალ მომლერალ ადამიანს.

ამით ის მინდა ვთქვა, რომ მათ კარგად
მბგერავი იოგები აქვთ, კარგი რეზონატორი,
კარგი სუნთქვა, მუსიკალურად დაყენებული
ხმა, სმენა, შესწავლილი აქვთ ამათუიმ ბგე-
რის მოცემის კანონები... ერთის სიტყვით, მა-
თი სამლერო აპარატი რიგზე მოქმედებს, შე-
იძლება, შესანიშნავადაც. ამით ისინი ხშირად
დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ მსმენელზე და
სახელსაც იხვეჭენ კარგი, ხანდახან დიდი
მომლერლისასაც.

მხოლოდ ერთი რამ აკლიათ... ის, რომ მა-
თი სამლერო აპარატი თავისთავად არის, რო-
გორც საკრავი, და მთელი დანარჩენი არსება
— თავისთავად. სწორედ ეს დანარჩენი არსება

თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებს მღერაში, თითქო რაღაც უხილავ ხელს მოძრაობაში მოჰყავდეს მარტოდ-მარტო სამღერო აპარატი—ისე, რომ გულს, გონებას, გრძნობას არ ატყობინებდეს, აპარატი შოძრაობაში მომყავს და თქვენც ბანი მითხარითო. და თუ იღებს რაიმე მონაწილეობას—მხოლოდ ფიზიოლოგიურს.

წარმოიდგინეთ, ასეთ ინსტრუმენტ-ადამიანებს არც ისე იშვიათად შეხვდებით მთელს მსოფლიოში განთქმულ მომღერალთა შორისაც.

* * *

კარგად მაგონდება დიდად ცნობილი მარია გალვანი, რომელიც თბილისშიაც ყოფილა.

იგი მართლაც განხორციელებული ინსტრუმენტი იყო, რომლისთვისაც არავითარი სიძნელე არ არსებობდა—არც ტესიტურისა, არც ამათუიმ ფრაზის მუსიკალური სირთულის მხრით. ისეთ ფიორიტურებს ხვლანჭიდა თავ-ბრულამხვევ სიმაღლეზე, რომ განცვითრებუ-

ლი იყავით, ნუთუ აღამიანის ხმას შეუძლიან
ასეთი ფოკუსებიო.

და განცვიფრებული იყავით... მეტი არა-
ფერი.

ხოლო მუსიკის დანიშნულება, კერძოდ მღე-
რისა, აღამიანის განცვიფრება ხომ არ არის...
მუსიკამ პირველ ყოვლისა უნდა აღვძრათ სუ-
ლიერად... შეგარყიოთ გრძნობის სიღრმემდე...
გაგმსჭვალოთ მხატვრული სიამოვნებით, თუნ-
დაც იგი საკეთო ენით გელაპარაკებოდეთ.
ფიზიოლოგიურად კი — თქვენ ძარღვებში სის-
ხლის მოძრაობა, პულსაცია გააძლიეროს, სუნ-
თქვა გაგიხშიროთ, ერთის სიტყვით, სიცხით
შეგათბუნოთ, მხატვრულად დაგაავალოთ, თუ
ასე ითქმის. ამმხრივ ხომ სიმღერას ვერც ერ-
თი ხელოვნება ვერ შეედრება.

გალვანისაგან არაფერი ამის მსგავსი არა
მიგრძვნია რა. მანტო იმიტომ კი არა, რომ
გალვანი თავისთავად უხეირო არტისტი იყო
სცენიურად, რაიმე მხატვრულ სახეს ვერ იძ-
ლეოდა.

არა. მომღერალთა შორის ძალიან იშვიათი
მოვლენაა, რომ დრტისტი სცენიურ სახეს იძ-

ლეოდეს. მათი ეგრეთწოდებული „კარგად თა-
მაშობსო“ — ტანისამოსის მოხდენილად ტარე-
ბას, ხელების ზომიერად ქნევას და ხანდახან
სახის ამათუიმ გრიმასის გამოვლინებას
არა სცილდება.

არა. გალვანი თვით აჩა გრძნობდა იმ მუ-
სიკის მშვენებას, შომხიბლაობას, რომელსაც
გადმოგვცემდა, არ განიცდიდა ამათუიმ მუ-
სიკალური ფრაზის შინაგან აღმძერელ ძალას.
თითონ არ იყო ემოციურად აღტყინებული
და მე როგორ აღმძრავდა?! იგი მღეროდა
როგორც მექანიკურად აუღერებული ინსტრუ-
მენტი, რომელიც იდეალური ზედმიწევნილო-
ბით და უჭირვებლად ასრულებდა ყველაფერს,
რაც ნოტებში იყო ჩაწერილი და... სხვა არა-
ფური.

და საზოგადოებაც სწორედ ამ იდეალური
ინსტრუმენტალური მღერისათვის უკრავდა
მას ტაშს გამძვინვარებით.

მეორე მომღერალი — აიდა გონჩაგო.
მთლად წყალწალებული იყო, როგორც არ-
ტისტი. არავითარი მოძრაობა — არც სხეული-
სა, არც სახისა. გალვანი ხანდახან ხელებს მა-

ინკ ჰშლიდა და იღიმოდა ხოლმე, ხან კი სახეს ლუშავდა ან იხსნიდა, თითქო რაღაცის გამოხატვას ლამობსო. გონზაგოს ესეც არა ჰქონდა. ტანისამოსი რა არის?—ისიც კი ისე ედგა, როგორც მანეკენს, მერე ლამაზი შოტლანდური ტანისამოსი... („ლუჩია“-ში).

ორმა მოქმედებამ ისე გაიარა—დარბაზში არავინ ახმაურებულა, „ბრავო“ არვის დაუძახნია.

აი, მოაწია მესამე მოქმედების უკანასკნელმა სცენამ, როდესაც საქმროს მოკვლის შემდეგ გაგიუებული ლუჩია სცენაზე შემორბის...

მაგრამ არ მოტყუფდეთ... არ ითიქროთ, ვითომ სცენიურმა სიტუაციამ გარდაქმნა არტისტის უნდილობა... მართალია, თმაგაშლილია, თეთრი პენუარი აცვია, აწეწილ-დაწეწილი... უნებურად მიხვდებით, ოპერა „ლუჩიას“ შინაარსიც რომ არ იცოდეთ, აქ რაღაც არაჩეულებრივი ამბავი მომხდარა... თორემ არტისტის უმეტყველო სახე და მთელი მისი გარეგნობა ამაზე არას გეუბნებათ...

იგი უახლოვდება რამპას, ჩერდება ორკესტრის იმ ადგილის პირდაპირ, სადაც სო-

ლისტ-ფლეიტისტი ზის. რამდენიმე მელოდიუ-
რი რეჩიტატივი და იწყება... ფლეიტისა და
ადამიანის ხმის შეჯიბრება. ფლეიტა გამოს-
ცემს ბგერის რთულ ხვეულებს. არტისტი იმე-
ორებს ამ ხვეულებს და იმეორებს... ფლეი-
ტის ხმიერებით... ნამდვილი ფლეიტა გეგო-
ნებათ, თითქმ კვლავ საკრავი განაგრძობდეს
ბგერას... რამდენიმე ასეთი შეკილოკავება და...
ფლეიტა და ადამიანის ხმა ერთმანეთს შეე-
რევიან და ისე გადაებმებიან, რომ ვერ გაარ-
ჩევთ საკრავს ადამიანის ხმისგან... ვერ შეამ-
ჩნევთ იმ ზღვარს, სადაც თავდება საკრავის
ხმა და იწყება ადამიანის ხმა. გვინდიათ, ორი
ფლეიტაა... არა. ორი კი არა, — ერთი და იგი-
ვე ფლეიტაა, რომელიც იმეორებს თავის ფი-
გურაციებს...

თქვენ აღძრული ხართ... გრძნობთ... გან-
ცვიფრებას... განცვიფრებაც ხომ იგივე გრძნო-
ბაა, მხოლოდ სხვა ხასიათისა... და იქმნებთ
ტაშით და „ბრავოს“ ძახილით... იქმნებთ
იმიტომ, რომ თქვენს წინაშე სასწაული მოხ-
და... ადამიანი ფლეიტად გადაიქცა.

მაგრამ, განა...

ეს, ისედაც მიხვდებით, რაც მინდა ვთქვა!..

* * *

ხოლო არის სხვაგვარი შთაბეჭდილებაც.
ისევ დიდი მომლერალი... ძალიან დიდი...
თეთრაცინი.

იმავე „ლუჩიაში“ იგი მღერითაც და სცე-
ნიური მოქმედებითაც გხიბლავთ, მისი კოლო-
რატურაც და კანტილენაც თანაბარ ძლიერია.
განსაკუთრებით კანტილენა.

უნდა აღვნიშნო, კოლორატურულ სოპრა-
ნოს იშვიათად აქვს ხოლმე მაღალი ღირსების
კანტილენა, ე.-ი. გაშლილი, მელოდიური მღე-
რა, რომელსაც მუსიკალური აკრობატიკა არა
სჭირდება, მაგრამ, საშაგიეროდ, სჭირდება
მგზნებარე გრძნობიერება (ამ შერით თეთრა-
ცინი შესანიშნავი იყო, სხვათა შორის, ფლო-
ტოვის ოპერა „მართაში“).

ჰო და... მთელი ორი შოქმედების განმავლო-
ბაში თეთრაცინი გამზადებდათ ზემოაღნიშნუ-
ლი სიგიურის სცენისთვის. და ამ სცენას იგი
ატარებდა არა როგორც ფლეიტასთან შეჯიბ-

რებას, არამედ როგორც მართლა სიგიუის
სიმღერას.

რასაკვირველია, ისიც ეჯიბრებოდა ფლეი-
ტას და საუცხოოდაც. მაგრამ ეჯიბრებოდა
როგორც გონებაშერყეული აღამიანის სმენის
ცოცხებას... ყურს აპყრობდა ფლეიტის ხმას,
თითქო საიდგანლაც მონაბერს, ხოლო ამას-
თანავე ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, გეგონე-
ბოდათ, ეს ხმა მისვე არსებაში იბადებოდა და
ჟღერდა, ვით მისი სულის გამოძახილი. და ამ
გამოძახილს იგი იმეორებდა უკვე რეალურად...

არ ვიცი, მიხვდა თუ არა მკითხველი, რაც
მინდა ვთქვა... მაგრამ მე პირადად ვგრძნობდი,
რომ ჩემს წინაშე ფლეიტასთან მოკამათე
მომღერალი კი არ არის, ამ საკრავის მონუ-
რად მიმბაძავი, არამედ ნამდვილი შეშლილია,
რომელიც რაღაც ფანტასმაგორიას შეუპყ-
რია და ეს აეღერებინებს ამ უცნაურ ხმებს.

აშკარაა, სულ სხვაგვარი იყო მსმენელის
ალძერა...

ან მეღეა მეი-ფიგნერ (ცნობილი ტე-
ნორი ფიგნერის მეულლე), დრამატიული სოპ-

რანო, რომელიც თურმე აშბობდა „ქ—რუსეთი
არტისტა“-ო (იტალიელი იყო).

მე იგი მოვისმინე, როდესაც უკვე ხუთი თუ
შვილი შვილის დედა იყო და ორმოცდაათ
წელს გადაცილებული... მაგრამ არ ვიცი, ხან-
მა დააკლო რამე, თუ შეჰმატა მის არტის-
ტულ თვითებას... რაღა თქმა უნდა; ჩსიც იქ-
ნებოდა და ესეც... ხოლო რაც იმ დროს იყო,
სრულიად საკმარისად მეჩვენა, რათა დიდ არ-
ტისტად მიმეღო. დიალ, არტისტად, რადგა-
ნაც მასში განხორციელებული იყო მომღე.
რალიც და ორტისტიც.

ამას ისე ნუ გაიგებთ, ვითომც იგი იძლეო-
და შესანიშნავ სცენიურ სახეს. თუმცა ამ-
მხრივაც თვალსაჩინო ხელოვანი იყო, მაგრამ
შეღარებით... ოპერის სხვა არტისტებთან.

არა, მისი ნიშანდობლივი თვისება—მაინც
მღერა იყო.

მუსიკა ხომ პირობითი ენაა აზრის გადმო-
საცემად, თუნდაც ეს მხოლოდ მუსიკალური
ფრაზა იყოს, უსიტყვოდ.

დარწმუნებული ვარ, მეღეას რომ თავისი
სასიმღერო ფრაზები ლილინით ეთქვა, უსიტ-

ყვოდ,— მაშინაც მოახერხებდა ამ ფრაზების აზრის გადმოცემას, ისე გრძნობდა იგი მუსიკას და ისე მეტყველი იყო თავისთავად მისი მღერა.

ხმა, რასაკვირველია, შესანიშნავი ჰქონდა,— ნამდვილი დრამატიული სოპრანო, სრულიად თავისუფალი მაღალ ფარდებში, მკვეთრი, ხოლო არა მძაფრად გამყივანი, და მორევივით მდორე ზვირთებიანი დაბალ და საშუალო ფარდებში.

პირველად მან მაგრძნობინა „ჰუგენოტების“ შესამე მოქმედების მუსიკის გენიოსური სიდიადე ვალენტინას და მარსელის დუეტში. პირველად მესმოდა ქალ-მომლერლისაგან ისეთი კაეშანი და სულიერი დრტვინვა, რაც ამ საკვირველი დუეტის დასაწყისშია. ვიოლონჩელოს ხამუშ-ხამუში ოხვრა და შუოთვა და ქალის სევდით აღსავსე ხმა აღგზნებით ეხმაურებოდა ერთი მეორეს და მწველი სიტკბოებით მავსებდა.

და მაშინ მივხვდი, რომ მედეა მლეროდა არა მარტო თავისი შესანიშნავი ხმით, არამედ აგრეთვე თავისი სულით, გულით, მთელი თავი-

სი არსებით. ეს იყო მისი ნიშანდობლივი თვისება. იგი მეღავნდებოდა ყველა მის პარტიაში (ლიზა „პიკოვაია დამა-“ში, აიდა და სხვ.)

დავიხსომოთ მღერის ეს ნიშანდობლივი თვისება... თავის დროზე გაგვახსენდება.

* * *

მკითხველი ნუ გაიკვირვებს, რომ ვანო სარაჯიშვილზე ვწერ, ე. ი. მამაკაც-მომლერალზე და მაგალითებად კი ქალ-მომლერლები მომყავს.

იცით, რატომ?

იმიტომ, რომ თავდაპირველადვე ადამიანის ხმა საკრავს დაეუპირისპირე. საკრავს კი უფრო ქალის ხმა უახლოვდება, ვიდრე მამაკაცისა. არა მარტო ტეჭბრით, არამედ მეტყველების ხასიათითაც, გრძნობის მეტყველებისა... თუ გინდათ, სწორედ აი, ამ გრძნობის ნაკლებობით.

ჩემის აზრით, ქალის ხმა უფრო ინსტრუმენტალურია, ვიდრე მამაკაცისა. შეიძლება, იგი უფრო მუღერავია, მაგრამ ეს მუღერადო-

ბა უფრო ბრწყინვალებაა, ვიდრე მგზნებარე-
ობა... ბრწყინვალება მთვარისა, უსითბო, ცი-
ვი და არა მხის ბრწყინვალება, თუნდაც იგი
ღრუბლებში იყოს გახვეული.

იქნება, ვცდები, მაგრამ ეს ჩემი პირადი
რწმენაა, მრავალ განცდაზე დამყარებული.

ორ საშუალო მომლერალში—საშუალოში
ხმითაც და უნარითაც,—მე მგონია, მამაკა-
ცის ხმა უფრო გრძნობამეტყველია, ვიდრე ქა-
ლის ხმა.

გამონაკლისი არის, რასაკვირველია... და საკ-
მაოც... ერთი-ორი მეც აღვნიშნე.

* * *

დიდ მომლერალ-მამაკაცთა შორისაც, ვინც
მე მომისმენია, გვხვდება ასეთი სხვადასხვაო-
ბა, ხოლო არა ისე მკვეთრად, როგორც ქა-
ლებს შორის.

მაგალითად, შესანიშნავი ბარიტონები მა-
თეო ბატისტინი და ტიტა რუფო.

სამწუხაროდ, მე რომ ტიტა რუფო
მოვისმინე, იგი ჯერ კიდევ ისეთი დახელოვ-
ნებული ვოკალისტი არ იყო, როგორიც შემ-
დეგში დადგა. მაგრამ მაშინაც ეტყობოდა,
რომ თუ შესანიშნავ ხმასთან—შესაფერი ოს-

ტატობა არა ჰქონდა, მაინც იგი მგზნებარე მომლერალი იყო და მლეროდა არა მარტო ხმით, არამედ—გულითაც... ჭეშმარიტად განმ-სჭვალული გულით.

პირიქით, ბატისტინი უკვე სახელდებუ-ლი არტისტი იყო, მთელს მსოფლიოში პირ-ველ ბარიტონად ცნობილი. იგი სულ სხვა ყაიდის მომლერალი იყო: ნამდვილი, პირწავარ-დნილი ძეელი იტალიური ბელ-კანტოს ოსტატი. ჯერ ერთი, მისი ბარიტონი, ტიტა რუფოს თავანკარ ბარიტონთან შედარებით, საკმაოდ მოიტენორებდა, რის გამოც მას თანამემამუ-ლენი ხუმრობით „გაფუჭებულ ტენორს“ ეძა-ხოდნენ. მეორეც ისა, რომ მის მლერას სწორედ ინსტრუმენტალური იერი დაჰკრავდა.

ხმა ჰქონდა ბრწყინვალე, მეტისმეტად ბრწყინვალე, გამჭვირვალე... ზოგნი გამდნარ ოქროს ადარებდნენ კიდეც. მაგრამ ეს, ჩემის აზრით, ცივი ელვარება იყო... როგორც ზამ-თარში მზის სხივია ხოლმე. თუმცა, როგორც მლერის უდიდესი ოსტატი, უებრო ვოკალის-ტი, ამ ცივ ელვარებას თითქო ხანდახან ცეც-ხლსაც უკეთებდა. მაგრამ ეს ცეცხლი თვალის

ცეცხლი უფრო იყო, ულექტრონული... იგი
თითქმი გიჩვიზებდა, მაგრამ არ გათბობდათ.

იტყვიან, ბატისტინი ლირიკული ბარიტო-
ნი იყო.

ჯერ ერთი, იტალიელი მომღერლები არც
თუ ზუმტად განსაზღვრავენ თავიანთ ლირი-
კულობას და დრამატიულობას... ისინი თანა-
ბარის ინტერესით ეტანებიან ერთსაც და მე-
ორესაც, ოლონდ კარგი სასიმღერო იყოს რა-
მე. მერე, სწორედ ლირიზმს უნდა ახასიათებ-
დეს გრძნობით გამობარობა.

ამას გარდა, ბატისტინი ყოველგვარ პარ-
ტიას მღეროდა — ლირიკულსაც და დრამატი-
ულსაც, მაგალითად: რიგოლეტოს, დონ-კარ-
ლოს ("ერნანი"), ბარნაბას ("ჯოკონდა") და
სხვ.. და თუ მის მღერაში ლირიკული მომენ-
ტი სჭარბობდა, ეს იმით აიხსნება, რომ მისი
ხმა ტენორული ტემბრის ბარიტონი იყო, საკ-
ვირეალი მოქნილობისა. მისი ვირტუოზობა
ამშროვ განსაცვიფრებელი იყო: ვერავითარი
კოლორატურული სიძნელე ვერ დააბრკოლებ-
და. მაგალითად მისი ფიგარო ("სევილიელი
დალაქი") გადამრევი იყო ბეერათა მრავალ-

გრეხილობით და მულერაობით. მაგრამ ყოველსაც ამას ჰქონდა ინსტრუმენტალური სრულყოფის ბრწყინვალება. ვიმეორებ უკვე ნათქვამს, იგი უფრო გაშტერებდათ თავისი ვირტუოზობით, ვიდრე აღვარის ემოციურად.

* * *

რა იყო ახალგაზრდობაში ანჯელო გაზინი — ეს, საყოველთაოდ, ტენორების მეფედ აღიარებული მომღერალი — არ ვიცი...

არა. როგორ არ ვიცი! რამდენი რამ წამიკითხავს და გამიგონია. მარტო ესეც კმარა, რათა იგი ფენომენად წარმოვიდგინო.

და ამისათვის ისიც კმარა, რაც მე მოვისმინე, როდესაც მაზინი უკვე სამოც წელს იყო მიღწეული, შეიძლება, გადაბიჯებულიც. მაშინ ჩემ წინ, რაღა თქმა უნდა, „ნაშთი ძველის დიდებისა“-ლა იყო. მაგრამ ისეთი ნაშთი, რომელიც აშკარად აღასტურებდა, რომ ტყუილად არ უწოდეს მას „ტენორე დი გრაცია“.

მაგრამ ეს „მონარნარე“ ტენორი მარტო ნაჩნარ პარტიებს როდი სჯერდებოდა. იგი

მღეროდა, წარსულში მაინც, ისეთ პარტიებსაც, როგორიც არის რაული „ჰუვენოტებში“, რადაშესი „აიდაში“ და სხვ.

ამგვარ ფენომენს ვერავითარი შეფასების საზომით ვერ მიუდგებით. იქ რა საზომი გამოდგება, სადაც თითქო იდეა, სიმბოლო სიმღერისა აღამიანის სახედ განხორციელებულა... როდესაც ისმენ სიმღერას და გგონია, რომ მთელი ის ატმოსფერო, რომელშიაც შენა ხარ მოქცეული, გაუღენთილია ამ, ამ საკვირველი სიმღერით... როდესაც ირლვევა ზოგადი კანონი ხელოვნების ნაწარმოების შეგრძნებისა, ე. ი. შენ არა მარტო ისმენ, არამედ თითქო ხედავ კიდეც, ჰყნოსავ, ეხები ამ სიმღერას.

და მთლად ივიწყებ, რომ შენს წინიშე სამცი წლის მოხუცია, რომლის ხანგადასულობას გრიმით შელებილი თმა წვერ-ულვაშიც ვეღარ ჰუარავს (მაზინი პირს არ იპარსავდა). რომ ეს მოხუცი არც კი ფიქრობს რაიმე სცენიური სახის შექმნაზე, რიტმულად ჰშლის ჯერ მარჯვენა ხელს, მერე—მარცხენას და ბოლოს—ორივეს ერთად (ბიზეს „მარგალიტის მაძიებელნი“—პირველი მოქმედების დუეტში).

და ყოველსავე ამას აინუნშიაც არ აგდებ...
არ აგდებ იმიტომ, რომ არც კი ამჩნევ, რაღ-
განაც მთლად სიმღერის თილისმაში ხარ გახ-
ვეული...

ამის შემდეგ არ მეუცნაურა რომელილაც
მწერლის აზრი:—არ გამიკვირდება, რომ ამა-
თუიმ ადამიანშა თავისი ცხოვრების მიზნად
გაიხადოს—მუდამ ფეხდაფეხ სდევდეს მაზინის
ქვეყნიდან ქვეყანაში, ქალაქიდან ქალაქში,
რათა ყოველთვის, როცა კი იგი იმღერებს,
დასტკბეს მისი სიმღერითაო.

მაზინის სცენიური უნიათობა ყბადალებუ-
ლი იყო. მაგრამ, წარმოიდგინეთ, რა საშინ-
ლად მეუცხოა, როდესაც იგი “სევილიელ და-
ლაქში” ვნახე გრაფ ალმავივას როლში.

საერთოდ, ეს წარმოდგენა რაღაც გადამ-
რევი იყო... მთელს ჩემს სიცოცხლეში ასეთი
თავბრუდამხვევი არა მინახავს რა. ამ წარ-
მოდგენის შემდეგ კაცს შეეძლო თამამად ეთ-
ქვა—ოლიმპზე ვიყავ, ღმერთები ვნახეო.

მონაწილეობას იღებდა ოთხი უებრო მომ-
ღერალი: მაზინი (გრაფი ალმავივა), ბა-

ტისტინი (ფიგარო), ოლიმპია ბარონატ (როზინა) და ნავარინი (დონ-ბაზილიო).

თვითეული ეს სახელი ისეთი არტისტული ფიგურის სიმბოლოა, რომ თვით მოკლე დახასიათებაც კი მათი უშველებელ წერილად გადაიქცევა. ამიტომ აქ მას არ გამოვეკიდები.

ვიტყვი მხოლოდ, რომ როსინის მოთინათინე* ღიმილივით ლალმა მუსიკამ მთლად გარდაქმნა ეს აღამიანები, სხვა ყველაფერში უეჭველად ერთგვარ იტალიურ სასცენო შტამპს მიჩვეულნი.

ჩვენს წინ მარტო მომღერალნი კი არ იყვნენ, რომელნიც ბეჭა ოპიზარის ან ბენვენუტო ჩელლინის საოცნებო ჩუქურთმასავით ხლართულ ჰანგებს საკვირველის მეტყველებით გვასმენინებდნენ — სრულიად უჭირვებლად, იოლად, ჰაეროვნად. ჩვენს წინ აგრეთვე ნამდვილი აქტიორები იყვნენ, რომელნიც ზედმიწევნით დაუფლებოდნენ ბომარშეს სცენიურ სი-

* სულ ზან-საბა ორბელიანი — „თინათინი — სარკითა თუ მისთანათა რათამე მზის შუქი კედელზე ციალებდეს“.

ტუაციებს და მოქმედ პირთა ხასიათებს და ზომიერად, თავდაჭერით, მაგრამ მხიარული კომიზმით ახორციელებდნენ როსსინის ცხოველმყოფელი ენით — მუსიკით — ამ სიტუაციებსა და ხასიათებს, თვინიერ რაიმე ბუფონადისა, რასაც სხვა არტისტები გზას ვერ აუკცევენ ხოლმე.

შესანიშნავი იყო ამმხრივ განსაკუთრებით ნავარინი — დონ-ბაზილიო. მე ამისთანა დონ-ბაზილიო ჩემს დღეში არ მინახავს.

ჯერ ერთი, გასაოცარი ხმა: დაბალ ფარდებში — ნამდვილი ორლანი, საშუალო ფარდებში — ქვემეხი, მაღალ ფარდებში — საყვირი, მაგრამ ყველგან ამოხმიანი. ხოლო, როცა უნდოდა და საჭირო იყო, — ხმას ისე მიჰბნიდავდა, გეგოხებოდათ, ჩანგი უღერს სინარნარითაო.

ნავარინზე სასწაულს ამბობდნენ. ერთხელ „ფაუსტის“ მესამე მოქმედების ტრიოში (ფაუსტი, ვალენტინი და მეტისტოფელი) მოულოდნელად, ტენორთან ერთად, ისეთი სი-ბე-მოლი სტყორცნა თურმე, რომ თეატრმა ზანზარი დაიწყო.

აქტიორიც შესანიშნავი იყო. ის ოომ სიტუაცია „კალუმნია“-ს (ნაცილი) იტყოდა, თანაც დონ ბართოლოს თვალს მოუჭრავდა და სახეს ალმაცერი გრიმასით დამანჭავდა,—მთელი ცილისწამება ხელის გულზე გქონდათ გაღაშლილი.

უშველებელი ვაჟკაცი იყო, მაგრამ მოქნილი, ელასტიური. „დემონში“ გუდალის ოოლს ახრულებდა და ქართულ ტანისამოსში საუცხოო სანახავი იყო.

თითქმის ასევე კარგები იყვნენ აქტიორულად ბატისტინი (ფიგარო) და ოლიმპია ბარონატ (როზინა).

და აი, ასეთ კრებულში ჩვენი ყბადალებული მაზინი სულ სხვა სანახავი იყო, ვიდრე დანარჩენ ოპერებში. ალარც უაზროდ ხელების შლა, არც მთელი მოქმედების განმავლობაში ხელთათმანის ლილის შეკვრა და ვეღარ შეკვრა („რიგოლეტო“), არც პირდაპირ სასაცილო სანახაობა: ფეხის ქუსლებამდე გრძელი ჩოხა და ასევე მაღალი ფაფახი („დემონში“).

პირიქით, სრულიად ბუნებრივი მიხვრა-მოხვრა, სახეზე საამური ლიმილი და უეჭველად

მხატვრული თავისმომთვრალიანება მეორე მოქ-
მედებაში, როდესაც ალმავივა ჯარისკაცად
გადაცმული შემოდის. ერთის სიტყვით, მა-
ზინის, როგორც სჩანდა, შეეძლო აქტიორუ-
ლი ნიჭის გამოჩენა, საღაც, მისი აზრით, სა-
კირო იყო და როცა მას ეპრიანებოდა.

* * *

სხვა გამოჩენილ ტენორებზე, ვინც მე მო-
მისმენია, მოკლედ მოვჭრი.

მაგალითად, ჯუზეპე ანსელმი. რასაკ-
ვირველია, მაზინის ვერ შეედრებოდა თვით
ამ უკანასკნელის სიბერის ღრმისაც. მაინც
მშვენიერი ხმა ჰქონდა, ეგრეთწოდებული
მეცცო-კარატერე ტენორისა. სამაგიეროდ, საკ-
ვირველი გარეგნობის და სილამაზის პატრო-
ნი იყო. აქტიორიც კარგი. ის და მშვენებით
და სიტურფით განთქმული ლინა კავალი-
ერი (პატარკინტელა, მაგრამ საამო ხმის პატ-
რონი) თვალის მომჭრელნი იყვნენ „მანონში“.
იმათ საზოგადოება უფრო თვალითა სკამდა,
ვიდრე ყურით ისმენდა.

ტიტა რუფოსთან ერთად მეორე დასში
მღეროდა დრამატიული ტენორი ანტონიო
პაოლი, ზავთიანი ხმის პატრონი. მე იმაზე
მაღალი და ძლიერად მუღერავი კაცის ხმა არ
მომისმენია. პაოლიმ რომ „ტრუბალურში“
ღო-ები მისცხო თთხჯერ ზედიზედ, საზოგა-
დოება გადაირია. ისეთ ძლიერ ნაკადად მო-
დიოდა მისი შეძახილი, რომ ჰაერს არყევდა.
შესახედაობითაც მშვენიერი ვაჟკაცი იყო.

მას ფენომენური ხმის პატრონის ფრან-
ჩესკო ტამანიოს მემკვიდრეობას უქა-
დიდენ. მაგრამ ვისაც ტამანიო ენახა, ამბობ-
და — ეთი შენოკ პროტივ თამანიო. მე კი ამ
„შენოკა“ გადამრია. მაშ რაღა უნდა ყო-
ფილიყო თვით ტამანიო? ტყუილად კი არ
უწოდა მას კ. ს. სტანისლავსკიმ თავის წიგ-
ნში „чудо!“. და, მართლაც, ანტონიო პაოლიმ
ვერ გაამართლა ზოგიერთების მოლოდინი.
რაღაც მიზეზის გამო არამც თუ ტაშანიოს
მემკვიდრეობა ვერ დაიმკვიდრა, მსოფლიო
მომღერლის სახელიც ვერ მოიხვეჭა. ყოველ
შემთხვევაში, 1905 წლის შემდეგ, როდესაც
მე იგი მოვისმინე, აღარაფერი შემხვედრია

პრესაში მის თაობაზე, თუმცა თვალს ძალიან ვაღევნებდი. მხოლოდ ერთმა იტალიელმა მითხრა—თავმა უღალატაო. პირველი ტრიუმფის შემდეგ წარმოიდგინა, რომ დიდებული მომღერალია და ბობოლობა ჭარბიყო. თბითონ ძალიან იბერებოდა, მაგრამ საზოგადოება ჰქონდა.

თურმე კარგ ტენორობას—კარგი ჰუაც სდომებია. აკი ამბობდნენ—ტენორს—ისე როგორც რუს გენერალს—ჰუა არ ესაჭიროებაო. მართალი არა ყოფილა...

* * *

მკითხველი ნუ გაიკვირვებს, რომ ამოდენა დრო სხვადასხვა მომღერალზე მოგონებას მოვანდომე და ვანოზე კი ჯერ კრინტიც არ დამიძრავს.

ამით მე მინდოდა გამომერკვია, სახელდობრ რა და რა ტიპის მომღერლები არსებობენ, რათა ერთგვარი საზომით მივდგომოდი ვანოს დახასიათებას, რასაკვირველია, მის ბუნებრივ ძალთა და უნარის ოდენობის ფარგალში, და თუ ამისთვის მსოფლიოში ცნობილ სახელებს

მივმართე იშათ შორის, ვინც მე პირადად მო-
მისმენია, მხოლოდ იმიტომ, რომ მკაფიოდ
გაწორკვეულ მაგალითებზე ოპერირება უფრო
ნათელჰყოფს ჩემს წინაშე მდგარ ამოცანას.

ზოგადიდან — კერძოობისაკენ... აი, ის გზა,
რომელიც მე ავირჩიე.

ახლა კი სულ ვანოჩე... პატარ-პატარა წიაღ-
სვლებით, რასაკვირველია... უამისობა არ შე-
ძლება.

* * *

პირველი სიტყვა:

იყო თუ არა ვანო სარაჯიშვილი
დიდი არტისტი მომღერალი?

ხედავთ, თავიდანვე რა გაბედულად ვაყე-
ნებ საკითხს — პირდაპირ, წარბშეუხრელად!
და ამაზე პასუხის გაცემას არ ვეკრძალვი,
ვინაიდან იგი, მართალია, უაღრესად სუბიექ-
ტური იქნება, მაგრამ სრულიად გულწრფელი
და პირუთვნელი.

ჩვენი ქვეყნისათვის, კერძოდ ქართული
კულტურისათვის, რაჯა თქმა უნდა, დიდი არ-
ტისტი იყო.

ვანო ხომ პირველ მერცხლად მოგვევლისა. პირველ ნამდვილ არტისტად ოპერისა. ეს თავისთავად, რასაკვირველია, არაფეხს ნიშავს. შეიძლება, პირველი ყოფილიყო, მაგრამ... ისე რაღა... იმაზე აღრე სხვებიც იყვნენ... ჩვენ იმათზე არას ვამბობთ... მაშასადამე, თავიანთი მოლვაწეობის კვალი არ დაუტოვებიათ ჩვენს ეროვნულ კულტურაში... მლერის კულტურაში.

ვანომ კი დასტოვა და ისე ღრმად, რომ ახლაც, როდესაც მისი სიკვდილის შემდეგ უკვე შეხუთმეტე წელიწადია,— ვანოს სახელი ყველას პირზე აკერია, ყველა გასხიოსნებული სახით იგონებს იმას, როგორც ძვირფას მოსაგონარს.

რატომ ეფინებათ სახეზე შუქი მის გამხსენებლებს? თანაც, რატომ დააყოლებენ ხოლმე ისინი მუდაშ დანანებით—ეჭ, ის რომ იყო—სულ სხვა რავ იყო, იმას ვერავინ შეედრებათ.

იმიტომ, რომ ამ მოგონებაზე რეფლექსურად იღვიძებს წარმოდგენა იმ მხატვრულ სიამოვნებაზე, რაც გამხსენებელს უგრძვნია ვა-

ნოს ნიჭის მეოხებით, და რაც მასში თითქმ
უკვდავად ცოცხლობს.

ეს—ვისაც ოგი მოუსმენია. მაგრამ ვისაც არ
მოუსმენია? ახალგაზრდობას, მაგალითად?

მერწმუნეთ, ახალგაზრდობაშიაც ცოცხ-
ლობს მისი ხსოვნა, რასაკვირველია, როგორც
უფროსთაგან გაგონილი სამური ლეგენდა.

თორემ, რით აჩხსნება ძალიან ხშირი მო-
მართვა შენთვის უცხო, სრულიად პირტიტ-
ველა ახალგაზრდებისა, ყრმებისა, თეატრში
რომ ხარ და ისმენ ვისმე გასტროლიორს ან
თუნდაც ჩვენიანს და მოწონებას გამოსთქვამ:

—ბიძია, ვანოზე კარგა მღერის?

—ბიძია, ალბათ, ვანოსთანა ვერ არის?!
და სხვ.

ერთის სიტყვით, ვანო ხალხის თვალში,
უფრო კი გულში, ხელოვანის სიავ-კარგის სა-
ზომად გადაჭცეულა.

აქ უკველად მართლდება ნიკოლოზ ბარა-
თაშვილის მშვენიერი ნათქვამი—რაც ერთ-
ხელ ცხოვლად სულს დააჩნდების—საშვილის-
შვილოდ გარდაეცემისო.

რასაკვირველია, ნიქოლოზ ბაჩათაშვილი
ხალხის სულს გულისხმობდა.

ვიმეორებ, ხალხის გულში ვანოს სახელი
ჩაჭდეულია და ის ნაჭდევი, მგონია, არ წა-
იშლება.

რატომ არის ჩაჭდეული? ამაზე მეორე გულ-
თამხილავი გვიპასუხებს — აკაკი — მხოლოდ
მართალი იყიდებს ფეხს და ტყუილი სიზმა-
რივით ჰქონდაო,

იყვნენ და... გაჰქონდა... არიან და... გაჰქონდ-
ან.

ვანო კი დარჩება... დარჩება როგორც „მარ-
თალი“, როგორც დიდი მოღვაწე.

* * *

მაგრამ ეს ხორ მარტო საყოველთაოდ ცნო-
ბილი ფაქტის აღნიშვნა. მართალია, მნიშვნე,
ლოვანი საზოგადოებრივი ფაქტისა, ბევრი
რაშის მაჩვენებლისა, ხოლო არა მხატვრული
სახის დახასიათება.

ესეც ვცადოთ.

ერთხელ „დაისის“ წირმოდგენაზე ჩემს
გვურდით იჯდა ცნობილი მომლერალი ქალი

ე. ი. პ.-ვა. როდესაც კულისებში მღერის შემ-
დეგ ვანო-მალხაზი მოხდენილად სცენაზე შე-
მოიჭრა, პ-ვამ თითქმ უნებურად წამოიძახა
„Все ему дано для большого артиста!“. მე-
რე მომიბრუნდა და მკითხა „Неправда-ли?“

რასაკვირველია, არ გავაწილე ჩემის პასუ-
ხით ხელოვანი ქალის ხელოვანით აღტაცება.
მით უფრო, რომ მეც ყოველთვის ამ აზრისა
ვიყვავი.

ეს იყო ვანოს პლატფორმის მიწურულში.

როგორი იყო მისივე ქარიერის დასაწყისი?
„ტრავიატას“ პირველი მოქმედება გათავდა,
დარბაზი გრგვინავს ტაშით და „ბრავოს“ ძა-
ხილით. საზოგადოებაში დიდი აღტაცებაა —
საერთოდ. ქართველთა შორის — განსაკუთრე-
ბით.

დღეს თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე
ალფრედის როლში პირველად გაძოსული
ახალგაზრდა მომღერლის ვანო სარაჯიშვი-
ლის განარჯვება უკვე პირველი მოქმედების
შემდეგ ტრიუმფალ გადაიქცა. გამოწვევას ბო-
ლო არ უჩანს,

მაგრამ ეს ხომ, შეიძლება, მასსური ფსიქო-ზი იყოს. ბრბო თეატრშიაც და ქუჩაშიაც — მაინც ბრბოა, თუ იგი ორგანიზებულად არ არის გამოსული. ასეთ სტიქიონში თვით მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალობაც უნებურად ტალღის საერთო დენას მისდევს და თავის სახეს ჰქანავს.

არა! საჭიროა ერთეულების აზრის გაგება — გონიერადამჯდარი და გრძნობაზომიერი ადამიანებისა, რომელნიც სტიქიონს არ ჩაუთრევია...

ასეთი ფიქრით შევდივარ ბუფეტზი. იქაც საერთო ერთამულია ჯგუფ·ჯგუფად დაყოფილ საზოგადოებაში. ყველანი დემოუტანტზე ლაპარაკობენ.

ჩემს გულბმიერებას ის ჯგუფი იწვევს, რომელიც დახლთან დგას და რომელშიაც ურევია თბილისში სახელგანთქმული ვექილი პ. ა. ოპოჩინინი. ლიტერატორი, ხელოვნების დიდი მოყვარული. თითონაც კარგი სცენისმოყვარე. მესიკის მკოდნე, თითქმის კომპოზიტორიც კი. ერთი სიტყვით, ადგილობრივი

„არტისტული საზოგადოების“ სულისჩამდგმელი.

მსუნავად რაღაცას სჭამს, მაგრამ სახის სერიოზული გამომეტყველებით და გულდაჯერებით ამბობს, თითქმ უკვე წინათ ნათქვამის რეზუმეს აკეთებდეს:

Нет, батенька, это певец ծсобой марки!..

აქ თავისებურად თავს აიქნევს, როგორც ხანდახან ოდნავ ენაბორძიკ ადამიანს ემართება ხოლმე, და კვლავ კვერს დაუკრავს გარშემო მდგომთ ან თავისთავს:

Occso...бой марки!

რა იყო აქამდე ნათქვამი—არ ვიცი. ამ სიტყვის შემდეგ კი ზარი გაისმა. ჯგუფი დაიშალა. ყველანი დარბაზისაკენ გავემართენით.

დღევანდელი საბჭოთა მოქალაქე ძნელად წარმოიდგენს, რას უდრიდა ვანო სარაჯიშვილის ეს გამარჯვება. იგი უდრიდა კარგი ბრძოლის მოგებას, ძნელად ასალები ციხე-სიმაგრის აღებას.

ეს ციხე-სიმაგრე იმდროინდელი ბიუროკრატიულ-ბურჟუაზიული საზოგადოება იყო, რომელიც ყველაფერს არა რუსულს ტუჩაბზე-

კით, აგდებით ეპურობოდა. ჩვენ, ქართველებს, საქართველოში იგი, როცა ეპრიანებოდა, ინოზემცებად გვთვლიდა, როცა უნდოდა—ტუზემცებად. ეს იმაზე იყო დამოკიდებული, თუ საამისოდ რა გარემოებას დაიხვევდა თითზე. ასევე იყო სომხეთში, ასევე იყო უკრაინაში და უველგან სხვაგან.

რა შორს წავიდე... განთქმული მომლერალი ოსკარ კამიონსკი, როგორც ებრაელი, იძულებული გახდა, რათა ზიმინის თეატრში ემლერა, აფთიაქის უპრალო თანამშრომლის მოწმობა ეშოვნა, თორემ უამისოდ, ეგრეთწოდებული „черта оседлости“-ს ბარბაროსული კანონის ძალით, მოსკოვში ბინადრობის უფლება არა ჰქონდა.

იქნება, ეს გამარჯვება ისე იოლი და ზავთიანი არა ყოფილიყო, ვანოს რომ მაშინდელი პეტერბურგიდან კარგი სახელი არ მოჰყოლოდა თან. პირველად ალფრედის როლი პეტერბურგში შეასრულა კერძო თეატრში სახელოვან მომლერალ-ქალ ვაიდა-კოროლევითან და, მკონია, ტიტა რუფოსთან ერთად. პეტერბურგში გამარჯვებას, რაღა თქმა უნდა,

არ შეიძლო ერთგვარი გავლენა არ მოეხდინა ყველაფერში სატახტო ქალაქის მიმბაძველ აქაურ დაშხამულ საზოგადოებაზე. ამიტომაც საზოგადოების აგრესიულად განწყობილი ნაწილის მხაკვრულმა სისინძა და შინათეატრალურმა ინტრიგამ ვერ გასცრა. იგი ძძულებული გახდა, გულისტკივილით ელიარებინა „ნოზემუის“ ვანო სარაჯიშვილის გამარჯვება თბილისშიც.

* * *

სხვანაირად არც შეიძლებოდა. ვანოს, პ-ვ:ს თქმისა არ იყოს, ყველაფერი ჰქონდა მიმაღლებული დიდი არტისტისთვის.

შესანიშნავი გარეგნობა, რომელზე უკეთესაც ვერც ერთი ტენორი ვერ ინატრუბდა.

მაღალ-მაღალი, ტანწერწერი. რა ტანისა-მოსიც უნდა ჩაეცვა, მისი მოხდენალი ფიგურა იოლად შეიშვნევდა და დააშვენებდა ამ ტანისამოსს.

შაგვრემანი, სწორნაკვეთი იახი სახე, რასაკვირველია, არა აპოლონერი სილამაზისა, მაგრამ მეტისმეტად საინტერესო ტუმპერამენტი-

ანობის ანარეკული თრთოლვარებით და ვაჟა-
ცური ენერგიით. შავი გრუზა თმა, რის გამოც
პარიკი იშვიათად სჭირდებოდა. სიცოცხლის
ნიშანწყლით სავსე, მეტყველი თვალები და
მიჯრით მიყრილი მოტიღო კრიალა კბილები.
ასეთი კბილები მომღერლისათვის მეტად სა-
ჭიროა, როგორც ლამაზი ფასადი კარგი შე-
ხობისათვის.

სახის ისეთი გაწყობილობა ჰქონდა, რომ
სრულიად მცირე გრიმიც ულამაზეს ვაჟაცან
გადააქცევდა ხოლო.

პირველ ხანში სცენიურად ფსუსურს, ეს გა-
რეგნობა ძალიან შველოდა და ქართველისათ-
ვის ჩვეულებრივ სხარტ მიხერა-მოხერას, ხან-
დახან არც თუ აგრერიგად სცენიურს, თით-
ქო კოხტა მანერების ლაპათიანობას აღევ-
ნებდა.

შემდეგ კი, უკვე სცენაზე გაშინაურებულს,
მანერებიც დაეხვეწა, კუნთებმოძრავი სახე
უფრო მეტი აზრიანობით აუმეტყველდა და
მხატვრული ეფექტიანობა დაეტყო.

* * *

თუ სინარნარე, შუქმთენობა და მგზება-
რეობა ხმის ლირსებას შეაღგენს — აი, ყველა

ეს მადლი უხვად მოიპოვებოდა ვანო სარა-
ჯიშვილის ხმაში.

ეს იყო გაზაფხულის ხმა. სამხრეთის გა-
ზაფხულისა, რომლის მზეც მარტო კი არ
გეალერსებათ, არამედ ხანდახან გაცხუნებთ
კიდეც, ცეცხლს გიკიდებთ.

ტყუილად არ დაიბადა ვანო მაისში,
ისიც კახეთს. თითქმ გრძნეულმა მაის-
მა მთელი თავისი ფერადოვნება და სიკეკლუ-
ცე ზედ დაანათლა მის ხმას, მთელ მის არსე-
ბას.

ვანოს ხმა არ იყო დიდი არც დიაპაზონით,
არც სიმჭახით. იგი იყო ნამდვრლი ლირიკუ-
ლი ტენორი, მაგრამ სამხრეთული ლი-
რიზმით სავსე. აი, იტალიელები „ვოჩე მე-
რიდიონალე“-ს რომ ეძახიან — ისეთი.

რას ნიშნავს ეს სამხრეთული ლირიზმი?
უპირველეს ყოვლისა — მამაკაცურ საწყისს.
ნუ გაგიკვირდებათ!..

დალიან ხშირად, უფროსერთ შემთხვევაში,
ლირიკული ტენორი მოიქალურებს ემოციურ
შეტყველებაში. გრძნობათა სინაზეს იგი შაქა-
რივით ტკბილი ბგერით გამოხატავს. ეს სიტ-

კბოება კი, ჩემის აზრით, ბლანტეა, დუნე, უარომატო. ასეთ ხმას არ ეტყობა სექსუალური იერი, ვაუკაცური თავისთავადობა. იგი რაღაც ქალაბიჭურია, თუნდაც ყურს ესიამოვნებოდეს.

ვანოს ხმა, პირიქით, უაღრესად ვაუკაცური იყო. მაშინაც კი, როდესაც იგი უსათუთეს ემოციებს მეტყველებდა. გრძნობდით, რომ ოქვენს წინაშე კუნთებმკვრივი აღამიანია, რომელიც ტრფიალების ღმერთს აუმეტყველებია ასე ნაზად, პოეტურად. ამიტომ ვანოს ხმის სიტკბოება, შაქრისას კი არა, უფრო შამპანურის სიტკბოებას მოგაგონებდათ, ნაჰერწყლოვან სიტკბოებას, ცხვირიდან როს ბოლს ამოგადენთ ხოლმე.

აქ, უნებურად, ერთი შეღარება მეკვიატება. ხოლო ხელოვნების სულ სხვა დარგიდან.

ახლანდელ თბილისელ მაყურებელს, სხვათა შორის, ორი შესანიშნავი მოცეკვავე უნახავს: მორდეკინი და ვახტანგ ჭაბუკიანი. ორივე, უმცველად, დიდი ქორეოგრაფიული ტექნიკით შეიარაღებული და ცეკვის იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული. ერთი—მორდეკინი—ძველი

დროის ბალეტურ სკოლას ეკუთვნის, ხოლო
მეორე—ქაბუკიანი—ახალ, საბჭოთა პერიოდის
ბალეტურ სკოლას.

თუ კი საბალეტო ცეკვით, პლასტიკური
მოძრაობისა და ფეხის რთული და მრავალ-
გრებილოვანი ფიგურაციების გარდა, რაიმე
გრძნობის, აზრის გამოხატვა შეიძლება, ეს
ორივე მოცეკვავე ამ მიზანსაც წარმატებით
აღწევს. მაგრამ მათ ახასიათებს ორი ეპოქის —
ძველისა და ახალის — განმათვითებელი დასა-
ბამი, ეპოქის, ასე ვთქვათ, უხერხემლობისა და
ხერხემლიანობის ბეჭედი. და ამ განსხვავებას
მე იმაში უხედავ, რომ მორდკინის ყოველ მოძ-
რაობას, ყოველ შიხვრა-მოხვრას, საერთოდ კი
მისი ცეკვის მანერას, თავისთავად, შეიძლება,
მხატვრულს, სდევლა რაღაც კოპტიაობის იე-
რი. ნახტომი გინდათ, სრიალი გინდათ, ხე-
ლების გაშლა და სხეულის ამათუიმ ცალკეუ-
ლი ნაწილის თუ ერთობლივი ათამაშება გინ-
დათ, — ყველაფერში თითქო მოცეკვავე განგებ
ცილინდრა მიუჩაძა... ქალისათვის.

ქაბუკიანი, პირიქით, ამმხრივ თავიდან
ფეხამდე მამაკაცია, ვაჟკაცია, თავისი სქესობ-

რივი „მე „ს მკეთრად გამომხატველი. მისი ნახტომი ავაზის ნახტომს ჰგავს, მისი რეალური სრიალი ფოლადის ციბრუტის ბრუნვას მოგაგონებთ. მთლად თითონ თითქო ფოლადისაგან იყოს ჩამოსხმული, ისეთ შთაბეჭდილებას სტოკებს,

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს მამაკაცური საწყისი, თავისი ეპოქის ძლიერი სული მა5 პირველმა შეიტანა სხვათრივ შესანიშნავ რუსულ ბალეტში, რომლის ძველ პოცეკვავეთ, თვით უკეთესებსაც კი მათგან, თუნდაც იძავე სახელგანთქმულ ნიერნერის, სწორედ ეს ნაკლი ახასიათებდათ, ე. ი. თავისი სქესობრივი არსიდან განდგომა.

აი, ვანოს ლირიკული ტენორის ნიშანდობლივი თვისება, სხვა მრავალ ლირსებასთან ერთად, სწორედ ეს მამაკაცური საწყისი იყო.

* * *

სცენაზე პირველ გამოსვლისათანავე ვანომ გლერის იშვიათი უნარი გამოიჩინა, ეგრეთწოდებული ძველი იტალიური „ბელ-კანტო“ს ასტატობა.

ეს საკმარიდ გაცვეთილი თქმა — „ლამაზი მღე-
რა“ — უფრო შეტ შინაარს შეიცავს, ვიდრე
მარტო „ლამაზის“ ცნებაა. იგი გულისხმობს,
თავისთავად კარგი ხმის გარდა, ამ ხმის ტექ-
ნიკურ სრულყოფას, დიდ მოქნილობას, სინარ-
ნარეს, მგზნებარეობას, მუსიკალური ფრაზის
მსუბუქად, უჭირვებლად გამოთქმას, რაც უნ-
და რთული და ძნელი იყოს იგი. უმთავრე-
რესად კი „მესსა ვოჩე“-ს — „Messa voce“ (არ
მიიღოთ „მეცცა ვოჩე“-დ — „Mezza voce“,
რაც ნახუვარხმით მღერას ნიშნავს). „მესსა
ვოჩე“ — ხმის ფილირებაა, ერთ ამოსუნთქვაზე
ხვის თანდათან განთენა, გაშლა, პიანოდან
(ხმამიბნედილობიდან) ფორტემდე (სიმჭახემდე)
გილწევინება და კვლავ თანდათან პიანოზე და
პიანისიმოზე გადასვლა.

გეითხვეული მიხვდება, რომ ხმის ბუნებრივ
თვისებათა გარდა, აქ დიდი ოსტატობაა სა-
კირო. ხოლო ოსტატობა, როგორც ვიცით,
ხანგრძლივი ვარჯიშობით შეიძინება.

სხვებზე რომ არა ვთქვათ რა, ისეთი უბად-
ლო ხმის პატრონიც კი, როგორც ჯიოვანი
რუბინი იყო (მე-XIX საუკუნის პირველი ნა-

ხევრის ტენორი), მრავალი წლის განმავლობაში სწავლობდა მღერას და შემდეგშიაც, მთელი სიცოცხლის მანძილზე, თავი არ დაუნებებია მუდამ ხმის ვარჯიშობისათვის.

მას თავისთავად გასაოცარი, უსაზღურო ხმა თურმე ჰქონდა. ამასთანავე, სრული მშენებით სავსე. ვარჯიშობით ხომ ისეთ სრულყოფაშე მიაღწია ხმის მოთვინიერებაში, რომ არც მანამდე, არც მის შემდეგ მისი მსგავსი მომღერალი არა ყოფილა, თუ მხედველობაში ირ მივიღებთ მე-XVIII საუკუნის კასტრატ-მომღერლებს კაფარიელისა და მარინელის. მაგრამ ამათ ხომ მამაკაცური ხმა არა ჰქონდათ. მათი ხმა ტემპრით და სიწმინდით ქოლის ხმას თურმე ჰგავდა და ცოტა რამ თავისებურებით განიჩრეოდა მისგან. სამაგიეროდ, ძალიან მაღალი და მოქნილი იყო, რის გამოც არავითარი ტესიტურული და ტექნიკური სიძნელე—ტრელი, გრუპეტო (მელოდიის მორთულობა), ზეალმავალი და ქვედამავალი ჭასსაუები—არ აბრკოლებდა მომღერლებს.

სულ სხვა ყოფილა რუბინი. ისეთი დიდი ადამიანები, როგორიც იყო ჩიპარდ ვაგნერი და შესანიშნავი ბასი-მომლერალი ლუიჯი ლაბლაში რუბინიზე პირდაპირ ლეგენდალურ ამბებს მოვცითხობენ.

ვაგნერი ერთერთ თავის ფელეტონში პარიზიდან ამბობდა, რუბინი ხან ლომივით და-იჭიქვებს, ხან კი ისე მიპარიდავს ხმას, ასევონია, ბუზი სიმებს ფრთას უსვამდესო.. მერე მოვცითხობს: პარიზის გრანდ-ოპერას სეზონი დამთავრდა და რუბინი შემდეგ სეზონში ალარ იმღერებსო. ოპერის დირექტორი მის სა-ნაცვლოდ სამი შესანიშნავი მომლერალი მო-იწვია, რათა როგორმე აუნაზღაუროს პარი-ზის საზოგადოებას რუბინის წასვლაო. ერთმა ამ ტენორზაგანმა მოსწერა დირექტორის—რაღ-განაც რუბინის შემდეგ თვით ლმერთმაც კი მომ-ლერლობა და სცენაზე გამოსვლა რომ მოისურ-ვოს, იმასაც პარიზის საზოგადოება უეჭველად დაიწუნებს,—ამიტომ არავითარი იმედი ირა მაქვს, პარიზის საზოგადოებამ შემიწყნაროსო. ამის გამო გთხოვთ, წინასწარვე 30.000 ფრან-

კით უზრუნველმყოთ, იმის მიუხედავად, მომიღონებს საზოგადოება თუ დამიწუნებსო.

ლაპლაში თავის მემუარებში თურმე სწერს, თინა წუთის განმავლობაში მღერის დროს რუბინის პირში შევცემოდი და ვერ შევამჩნიე, სული როდის გოითქვა, ისეთი ალტური სუნთქვა ჰქონდაო.

სამუდამფლეო ვარჯიშობისათვის რუბინის თავისით შედგენილი ვოკალიზები ჰქონია (იგი კომპოზიტორიც ყოფილი), მუსიკალურად ისე რთული და ძნელი, რომ მათი დაძლევა გის მეტს ვერავის ეხერხებოდა. აი, ამ ვოკალიზებზე ავარჯიშებდა იგი თავის ხმას ყოველდღე მთელი საათობით. რასაკვირველია, ვერც ერთი კომპოზიტორი ვერ შეუქმნიდა მას რაიმე სიძნელეს, ვინაიდან თავის ნაწარმოებს ყოველი მათგანი მარტო რუბინისათვის ხომ არა სწერდა, არამედ სხვა მოწლერლებისათვისაც, რომელნიც ისე სრულყოფილი არ იყვნენ, როგორც რუბინი.

სხვათა შორის, რუბინის ხმა გასაოცარ სიმაღლემდე აღწევდა. მაგალითად, ბელლინის „პურიტანებში“ ერთ ადგილის მეორე ოქტა-

ეს თანამდებობით რიკუორტის ძველ
გამოცემაში, სწორედ რუბინისათვის განკუთ-
ვნილს. და ამ ნოტას იგი ეწეოდა თურმე არა
ფალცეტით, არამედ ეგრეთწოდებული შერე-
ული შეერდული და თავური ბგერით. ასეთი
მწვერვალი თვით ქალის უმაღლესი ხმისთვი-
საც კი მიუწვდომელია.

წიალსვლა გამიგრძელდა, მაგრამ, რაკი სიტ-
ყვა რუბინიზე ჩამოვარდა, არ შემიძლიან არ
გავიხსენო მისი ლიადობის დამახასიათებელი
ერთი ეპიზოდი, ძველ ნაწერებში ამოკითხუ-
ლი.

ორმოციანი წლების ნახევარში იგი მღე-
როდა მაშინდელი პეტერბურგის იტალიური
ოპერის სცენაზე ახალგაზრდა, მაგრამ უკვე
სახელოვან მომღერალ-ქალ პოლინა გარსია-ვი-
არდოსთან ერთად. ეს ის პოლინა ვიარდოა,
რომელსაც ი. ს. ტურგენევმა ფიანდაზად გაუ-
შალა თავისი სიყვარულისა და მეგობრობის
სათუთი გრძნობა სიკვდილის კარამდე.

ჰო, და... ერთხელ, „სევილიელ დალაქში“
ერთერთი ანტრაქტის დროს, როდესაც თავ-
ბრუდახვეული საზოგადოება მგრგვინავი „ბრა-

ვომ-თი და ტაშით ეგებებოდა ორსავე მომლე -
რალს, რებინის ხელოვნებით ალტყინებულმა
პოლინამ იმით გამოხატა თავისი ალტაცება,
რომ საზოგადოების თვალწინ დაიჩოქა რები-
ნის წინაშე და ხელზე ამბორჰკო.

ნუ დაივიშუებთ, რომ თვით პოლინა უებრო
მომლერალი იყო. საქმარისია ვთქვათ, რომ
იგი მღეროდა როზინას პარტიას როსსინის
„სევილიელ დალაქში“, ვალენტინას „ჰუგენო-
ტებში“ და ფიდესის პარტიას „წინასწარმეტ-
ყველში“. ეს ორივე ოპერა ჯაკომო მეიერბე-
რისაა. პირველი პარტია წმინდა კოლონიატუ-
რული სოპრანოს პარტიაა, თუმცა დაწერი-
ლია მეცცო. სოპრანოსთვის; მეორე — ღრამა-
ტიული სოპრანოსი, ხოლო მესამე — ძლიერი
მეცცო. სოპრანოსი.

ადვილად შეგიძლიანთ წარმორდგინოთ, რა
იქნებოდა თვით პოლინა ვითრდო, როგორც
მრავალფეროვანი ხელოვანი, და, მართლაც, რა
სასწაულშოქმედი ყოფილი რებინი, რომლის
წინაშეც ასე ღემონსტრაციულად ჭრის იხრი-
და ეს შესანიშნავი მომლერალი ქალი!

უეჭველია, დრო-ებისაგან დაუძლეველი
გრძნობა ი. ს. ტურგენევისა პოლინა ვიარ-
დოსადმი—იყო დიდი შემოქმედის გატაცება
დიდივე ხელოვანით, ვინაოდან ეს ქალი, რო-
გორც მისი სურათი გვიჩვენებს, სილამაზით
არ გამოიჩინდა.

* * *

რუბინის და სხვა დიდ მომღერალს აქ იმი-
ტომ კი არ ვასახელებ, ვითომც მინდოდეს მათ
ვანო შევადარო.

ირა, ეს შეტისმეტი გადაჭარბება იქნებოდა.
მე იმდენად შიყვარდა უანო სიცოცხლეში,
როგორც არტისტი და როგორც მეგობარი,
და ახლაც იმდენად ვცემ პატივს მის ხსოვნას,
რომ ვანოს არტისტული ვინაობის ყალბი
გაზეიადება, ასეთი უდიდესი მასშტაბით მისი
წარმოდგენა—დამცირება იქნებოდა ამ სიყვა-
რულისა და ხსოვნისა.

ან რა საკიროა ეს? რაც იგი იყო—ისიც
საკმარისია, რათა მუდამ გვაბსოვდეს, რო-
გორც იშვიათი მოვლენა ჩვენს ხელოვნებაში.

და თუ ამდენს ვლაპარაკობ სხვა შესანიშნავ მომღერლებზე—მხოლოდ იმიტომ, რათა დღევანდელ საზოგადოებას წარმოიდგენა ჰქონდეს, თუ რა სიმაღლეში იყო მიღწეული ვოკალური ხელოვნება და რა განებიერებული იყო იშვიათი მომღერლებით მაშინდელი საზოგადოება... არა, საზოგადოება კი არა, არამედ „რჩეულნი ამა ქვეყნისანი“⁴. საზოგადოებას, როგორც მასსურ ერთეულს, უკულმართი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, სად შეძლო ლირსებოდა ან „ნებიფრობას“⁵!

საყურადღებოა, რომ თითქმის ყოველი სახელგანთქმული მომღერალი, ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, გამოსული იყო ხალხის წიაღიძან, მშრომელი—ექსპლოატირებული კლასიდან. მაგრამ ამ ხალხს შისჯან არც ეციებოდა, არც ეცხელებოდა, ვინაიდან იგი მოწყვეტილი იყო თავის მშობელს. ისე, როგორც სხვა ყველაფერს, მშრომელთა შეირშექმნილს, იჩემებდა გაბატონებული კლასი, სწორედ ასევე იჩემებდა იგი ხალხის ნიჭიერ შვილთაც, რაკი ისინი სახელს გაითქვამდნენ და შეიძლევდნენ მის რატებობის.

ესეც არის, ყოველი დიდი მომღერლის ას-
პარეზი ყველაზე ნაკლებ მისი სამშობლო ქვე-
ყანა იყო. მაგალითად, იტალიელი მომღერალ-
ნი სულ მცირე დროს უთმობდნენ თავიანთ
ქვეყანაში მოღვაწეობას, ისიც კარიერის და-
საწყისში. სად შეეძლო ლარიბ იტალიას იმო-
დენა ფულის ძლევა, როგორც სხვა ქვეყნებს,
და მათი საჩინოელი გადატანილი იყო ამერი-
კასა, რუსეთსა, ინგლისსა და საფრანგეთში და
სხვაგან.

მაგალითად, გამოჩენილ ტენორ მარიოს
იტალიაში სრულიადაც არ უმღერია. პარიზ-
ში დაიწყო კარიერა დიდი წარმატებით და
მოედვა ინგლისსა, რუსეთსა, ამერიკასა და
სხვა ქვეყნებს, ასე რომ თავის იტალიაში
ტურილადაც არ შეუხედნია.

ასე იყო ძველად და ასევეა ახლაც ბურუუ-
აზიულ ქვეყნებში.

ასე არ არის და არც იქნება მხოლოდ
ჩვენში, საბჭოთა დიდ ქვეყანაში. აქ ყოველი
ხელოვანი, ისე როგორც ყოველი ჩვეულებრი-
ვი მოქალაქე, ფიგურალურად რომ ვთქვათ,
ხალხის ჭიშხეა მიკრული და მათი განთვითე-

ბა უკტკიცნეულოდ არ შეიძლება, რაც უფრო
დიდია ხელოვანი, მით უფრო ახლოა ხალხზე,
მით უფრო საჭიროა იგი ხალხისათვის და ხალ-
ხი მისთვის. ხალხი მას ზრდის, პატრინობს
და იგი მოვალეა აუნაზღაუროს ხალხს თავი-
სი კულტურული შემოქმედებით ეს სათუთი
შზრუნველობა.

ვინ ამბობს,—რატომ არ უნდა გავიტანოთ
ჩვენი მიღწევები ხელოვნების ამათუიმ დარგ-
ში საქვეყნოდ! რატომ არ უნდა იცოდეს
მთელმა მსოფლიომ, რა ძღვომარეობაშიაჩვენ-
ში ხელოვნება და რა კულტურული ძალების
გამოვლინება და აღზრდა შეუძლიან სოცია-
ლისტურ ქვეყანას?! მაგრამ მაინც ყველა დი-
დი ხელოვანის მოლვაწეობის ასპარეზი მისი
დიდი სამშობლოა უპირველეს ყოფლისა.

და დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ
სწორედ ჩვენს დიდ სამშობლოში მიაღწევს აწ
უკვე ყველგან დაქვეითებული ვოკალური ხე-
ლოვნება განვითარების უმილეს მწვერვალს.

რატომ?

იმიტომ, რომ ნიჭიერთა გამოვლინება და
აღზრდა ჩვენში კერძო თაოსნობის საქმე კი

აღარ არის, როგორც წინათ იყო, არამედ
სახელმწიფოებრივი საქმეა. ნიჭიერთა ბავშვო-
ბიდანვე გადარჩევა, განსაკუთრებული ხელსაყ-
რელი რეჟიმის შექმნა მათი აღზრდისა და გან-
ვითარებისათვის ბუნებრივი მიღრეკილების
კვალობაზე, ეგრეთწოდებული „ვუნდერკინდე-
ბის“ საზიზლარი ექსპლოატაციის მოსპობა,—
ყველა ეს თავმდებია ამ გზითაც გამარჯვებისა.
ამის კონკრეტულ მაგალითებს ჩვენ უკვე ვხე-
დავთ, ინსტრუმენტალური მუსიკის აღსრულე-
ბის სფეროში საბჭოთა ქვეყნის შვილებმა
მსოფლიო მწვერფალები დაიკურეს.

ასევე მოხდება ვოკალურშიაც — ეს უძვე-
ლია.

* * *

დავუბრუნდეთ ისევ ვანოს.

თუ ვანომ პირველ გამოსვლისათანავე, მიუ-
ხედავად მრავალი დაბრკოლებისა, მაინც აა-
ლაპარაკა „განებივრებული“ საზოგადოება, მა-
შასადამე, ყოფილა მასში უთუოდ არაჩვეულებ-
რივი რამ.

ჯერ ერთი — განსაცვილებელი ტემბრი.

ტემბრი ფიზიოლოგიური თვალსაზრისით — ბგერათა თავისებური, დამახასიათებელი ხმოვანებაა. ასეთი განმარტება თითქმის არაფერს გვეუბნება. მხოლოდ სიტყვა „თავისებურება“ თითქო ისეთ რამეზე მიგვითითებს, რაც მთავარი მომენტი უნდა იყოს ტემბრის დასახასიათებლად.

მე, ჩვეულებრივ, ისევ შეღარებას მივმართავ.

ტემბრი, ჩემის წარმოდგენით, ის არის, რაც ყვავილში სურნელებაა, ან ლამაზ სახეში თვალების „თავისებური“ მეტყველება, ამ სახეს რომ აცისკროვნებს და სიცოცხლის ნიშანწყალს აძლევს.

რამდენი ლამაზი ყვავილია, რასაც სურნელება არა აქვს?

რამდენი ტურფა სახეა, რომელსაც თვალების ნიშანწყალი არ გააჩნია და ამის გამო მისი სიტურფე ციფრი ჭანდაკების სინატიფედ რჩება.

რამდენი ლამაზი ხმაა, ძლიერიც, მუღერავიც, შეიძლება ამავე დროს ნაზიც, მაგრამ ტემბრი არა აქვს, ე. ი. ბგერათა სურნელება,

და, ამის გამო, თითქო არც საკუთარი სახე
აქვს.

ჩემდათავად ვიტყვი, რომ ღიღებული მაზი-
ნის შემდეგ მე ისეთი მომხიბლავი ტემბრი
ხმისა არ მომისმენია, როგორიც ვანოს ჰქონ-
და პირველ წლებში და რომლის ანარეკლიც
ხანდახან შემდეგშიაც აუღერდებოდა ხოლმე.
თითქმის მისი მოღვაწეობის მიწურულშიაც კი.

აი, ეს ტემბრი იყო მისი არტისტული ვი-
ნაობისა, მისი არტისტული თავისთავადობის
მხატვრული პასპორტი. ხოლო პასპორტი, რო-
მელსაც სხვა უერავინ გამოიყენებდა თავისი
ვინაობის დასაღასტურებლად. და თუ გაბე-
დავდა ვინმე ამ პასპორტის მითვისებას—მა-
ინც ვერავის მოატყუებდა. უკიდურეს შემთხ-
ვევაში, მსმენელი, რაც უნდა უვიცი ყოფი-
ლიყო მუსიკაში, უეჭველად იტყოდა—ჰო...
თითქო ჩამოჰგავს ვანოს... მაგრამ ძალიან შო-
რიშორეულად... არა, ეს ვანო არ არისო...

მკითხველს, ალბათ, უნდა—უფრო კონკრე-
ტულად ავსახო ვანოს ხმის ტემბრი ე. ი.,
ნიშანდობლივ რა იყო მასში მომხიბლა ვი...

აი, აძის გაკონკრეტება შეუძლებელია: ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის.

ტემბრი კი არა, აბა აი, ამ უბრალო, უფრო კონკრეტულ კითხვაზე მომეცით პასუხი: რა გხიბლავთ, მაგალითად, ამათუმ ქალის სიტურაციები?

ოქვენ ხალისიანად მიპასუხებთ: სინაზე, სინარნარე, მიხვრა-მოხვრის ჰაეროვნება, თავთავისდროზე სახის მართებული მეტყველება—ხან სიხარულით, კუკლუცობით სავსე, ხან კაეშნური, დამალონებელი, ხან ვნებიანი, სისხლის ამჩქეფი, ხან კი აზრის და ჭკუის მსახველი... ერთის სიტყვით, მთელი მისი იერი!..

თუ ეს პასუხია ჩემს კითხვაზე (მე კი მგონია, ცარიელი ფრაზეოლოგია), მაშინ მეცასე გიპასუხებთ: ყოველივე ეს იყო ვანოს ხმაშიაც. არა მგონია, დაკმაყოფილდეთ ამ პასუხით. მით უფრო—თვით არა ვარ ამით კმაყოფილი. ამიტომ გავიმეორებ უკვე ნათქვამს:

ვანოს ხმაში იყო ტემბრის სახედ ბგერათა რაღაც განუმეორებელი სურნელება, რაც მხო-

ლოდ მას და მხოლოდ მას ახასიათებდა და
თქვენ კი გხიბლავდათ.

* * *

მეორე - იშვიათი მუსიკალობა.

მუსიკალობა იმ გაგებით კი არა, რომ სმე-
ნა და მუსიკალური მახსოვრობა კარგი ჰქონ-
და, აღვილად შეეძლო ამათუიმ მუსიკალური
ფრაზის, მთელი პარტიის იოლად შესწავლა
და სწორედ გადმოცემა.

არა, მარტო ეს — ცოტაა.

ეს — ზეზეური მუსიკალობაა. მხოლოდ მექა-
ნიკური. მე ვიცნობდი ერთ მომღერალს, რო-
მელიც, რაც უნდა დიდი და რთული პარტია
ყოფილიყო, სამს დღეში შეისწავლიდა ხოლმე.
მაგრამ იგი ძალიან შორს იყო იმ მუსიკალო-
ბაზე, რომელზედაც მე ვლაპარაკობ. არც ეგ-
რეთწოდებული აბსოლუტური სმენაა ამ მუ-
სიკალობის მაჩვენებელი.

მე ვგულისხმობ ისეთ მუსიკალობას, რომ-
ლის მეოხებითაც მომღერალს შეუძლიან არა

მარტო მუსიკალური ფრაზის ტექნიკურად
შესწავლა და გაღმოცემა ისე, როგორც ნო-
ტებშია დაწერილი, არამედ აგრეთვე ამ მუსი-
კალური ფრაზის შინაგანი არსის შეგრძნება,
ამით განმსჭვალვა, ე.-ი. სისხლსა და ნერვებ-
ში გატარება და შემდეგ მისი გამოსხივება,
როგორც საკუთარი რამისა.

მე ვგულისხმობ შემოქმედ მუსიკალობას,
რომლითაც მომლერალი უსიტყვებოდაც მიხ-
ვდება... არა, მიხვდება კი არა, იგრძნობს
ავტორის მუსიკალურ აზრს. უკვე ზევით ავ-
ლნიშნე ეს განსაკუთრებული ნიჭი მომლერ
ლისა, როდესაც მედეა ფიგნერზე ვლაპარაკობ-
დი.

აი, ვანოს უხვად მიმაღლებული ჰქონდა
სწორედ ეს იშვიათი ნიჭი. შესაძლებელია, ვა-
ნო ვერ აგიხსნიდათ, რას გამოხატავდა ესა
თუ ის მუსიკალური ფრაზა, თუ მას სიტყვე-
ბი მიწერილი არ ექნებოდა, მაგრამ მხატვრუ-
ლი ალლოთი, ინტუიტურად უჩქველად შეიგ-
რძნობდა მის შინაგან აზრს და მღერით ისე
მეტყველად გაღმოგცემდათ კომპოზიტორის
ნააზრევს, რომ, შეიძლება, თვით კომპოზი-

ტორსაც ვერ წარმოედგინა თვის მხატვრულ განზრახვათა უკეთესი რეალიზაცია.

მასში იყო რაღაც თვითშეუცნობი მუსიკალური გულთამხილაობა. თვითეული უჯრედი მისი არსებისა თითქო ოდითვე გაუღენთილი იყო უცნაური საოცნებო ხმებით და მღერის დროს სწორედ ეს შინაგანი საიდუმლო ხმები იღვრებოდნენ მის საკუთარ მელოდიად და არა კომპოზიტორის რაღაც ლურსმულის მსგავსი ნიშნებით გამოხატული ბგერები.

იგი მღეროდა, როგორც ექსტაზში მყოფი, როგორც სონამბული (მთვარეული). და რომ უყურებდით მის თითქო გაფიტრებულ სახეს, მილულულ თვალებს, გეგონებოდათ—მთლად ცხოვრების რეალობა ამ წამს მისთვის მუსიკად-და იყო გადაქცეული.

* * *

მუსიკის ისეთი მესაიდუმლე, როგორიც ვანო იყო, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელია უტემპერამენტო ყოფილიყო.

და, მართლაც, მისი არტისტული ტემპერამენტი უმშვერვალესობამდე აღწევდა.

მე მარტო იმ გრძნობაალძრულობას როდი ვგულისხმობ, რაც სახის მეტყველებით და სხეულის ამათუიმ მოძრაობით გამოიხატება. იყო დრო, როდესაც ვანოს აქტიორული უნჩრი სრულიად არ გააჩნდა, მაგრამ იგი მაინც მგზნებარე ტემპერამენტს ამჟღავნებდა.

მე ვგულისხმობ მუსიკალურ ტემპერამენტს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბუნებაალძრულობას თვით ხმაში.

ვანოზე ამბობდნენ — თავისი მღერით თითონვე იწვის და ჩვენცა გვწვავსო. ამას ამბობდნენ ერთხმად — მუსიკის მცოდნენიც და არა-მცოდნენიც. ეს საყოველთაო აზრი იყო.

ეს სიტყვები ზედმიწევნითი დაფასებაა ვანოს არტისტული ინდივიდუალობისა. როდესაც მომღერლის ხმა, ესთეტიკური სიამოვნების გარდა, მწველ გრძნობასაც აღვიძრავთ, სადაც ეს საჭიროა, — აი, მაშინ დარწმუნებული უნდა იყვნეთ, რომ მომღერალს ალეული ტემპერამენტი აქვს.

ყველას, ვისაც ვანო უნახავს სხვადასხვა როლში, ალბათ, არასოდეს არ დაავიწყდება ზოგიერთი მისი პირდაპირ გასაოცარი ფრაზა.

რასაკეირველია, არა ფრანჩესკო ტამანიოს
ხმის მაგვარი, რომელიც გრიგალივით თურმე
გამოქანდებოდა ხოლმე დარბაზისკენ, და რომ-
ლის გამოც კ. ს. სტანისლავსკი ფიგურალუ-
რად ამბობს — უნებურად თავი უკან გადავიქ-
ნიეთ, თითქო კონტუზიას ვუფრთხოდითო.

არა, აქ სულ სხვა იყო. აქ კონტუზია კი
არა — გულის განმსვევალავი ხმა გესმოდათ და
ამ ხმას კი არ უურთხოდით, პირიქით, მის-
კენ თვით ისწრაფოდით.

მაგალითად, აბესალომის ფრაზა: „მურმანო,
აპა ეთერი, შენთან ჰპოებდეს შვებასა!“

რაოდენი კაეშანი, რაოდენი ნაღველი იყო
ამ, თითქო, უბრალო სიტყვებში, მაგრამ ამას-
თანავე მჭმუნვარე მელოდიაში, რომელსაც მომ-
ლერლის ხეა გამოსცემდა.... არა, ხმა კი არა
მარტო — გულიც, უმთავრესად გული, რომე-
ლიც თითქო თვალწინ ერთ მთლიან იარად
იყო გადახხნილი.

ან „კარმენის“ უკანასკნელ მოქმედებაში —
„Я разве угрожаю? Прошу лишь, умоляю!“

იგივე ცრემლნარევი უსასოობა, ბედის მორ-

ჩილება ნებისყოფადაკარგული, თითქმის შევ-
რად გადაქცეული ვაჟკაცისა...

ან იქვე— „Разлюбила ты меня, Кармен!“

ამ მოკლე ფრაზას ვანო ისე ამბობდა, რო-
გორც არავისგან არ გამიგონია. აქ მარტო
ტანჯვა არ ისმოდა. აქ იყო თითქო წინად-
გრძნობა კარმენის ტრაგიკული აღსასრულისა,
რაც მას, დონ ხოზეს (ვანოს), თვალშინ ედგა.
აქ იყო საბედისწერო შიში იმის წინაშე, რაც
დონ ხოზეს უნდა ჩაედინა, ვინიცობაა კარმენი
გაამართლებდა იმის ეჭვს.

ან „ჰუგენოტების“ უკანასკნელი დიდი დუ-
ეტის დასაწყისი: „Ты любишь! Ты любишь!
Ты любишь!“

რაღა თქმა უნდა, ეს სამი „შენ მეტრფი!“ სულ
სხვადასხვა ინტონაციით და ბგერათა იერით
იყო ხოლმე ნათქვამი. და ის სიხარული, ის
ნეტარება, რაც თვითეულ ამ თქმაში გიზგი-
ზებდა, ზენიტს ბოლოურში აღწევდა. მომლერ-
ლის ხმა თრთოდა, თანდათან ისე იბნილებო-
და, რომ გეგონათ—გული ვეღარ დაიტევს
ესოდენ ბედნიერებას და საკაა ძგერას შეს-
წყვეტსო.

მე შემეძლო დაუსრულებლად განმეგრძო ასეთი ნიმუშების აღნუსხვა, ვინაიდან ვანოს თვითეულ პარტიაში საამისო მასალა აუარებელი იყო. მაგრამ ყოველი ასეთი ფრაზის განმარტება მეტისმეტად დატვირთავდა ამ წერილს. მით უფრო, რომ სიტყვიერი განმარტება არც მომლერლისა და არც მსმენელის განაცადის ანასახსაც არ იძლევა.

ვიტყვი მხოლოდ, რომ სწორედ ასეთი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები ნინშადობლივ ახასიათებდნენ ვანოს იშვიათ ტემპერამენტიანობას. სწორედ ამ მოკლე ფრაზებშია ამათუიმ სიტუაციის და მოქმედი პირის გამომშულავნებელი ძალა.

და სწორედ ამიტომაც სხვა, ჩვეულებრივი მოწლერალი ან სულ არ აქცევს ამას ყურადღებას, ან თუ აქცევს—უნაყოფოდ, დრამატული ალლოს უქონლობისა და მგზნებარეობის უნიათობის გამო. ამიტომაც ასეთი ყაიდის მომჟერლებს მთელი თავიანთი ხელოვანება ლამაზ მღერაზე ან რომელსამე მკვეთრ დაძახილზე გადააქვთ, თუკი საამისო რამ მარნც ჟესტევთ.

მაგრამ ოპერა ხომ, ბოლოს და ბოლოს, მუსიკალური დრამაა და მასში დრამატულ სიტუაციას უმთავრესად ჰქმნის არა „ლამაზი“ სიმღერა და ესათუის მკვეთრი ასამაღლებელი, არამედ დიალოგური ფრაზები.

ხოლო, თუ ვანოს მღერაში ასაშალლებელის სიმკვეთრე არ გვანცვითრებდა, სამაგიეროდ სილამაზე და სიტურულე გვხიბლავდა არა მარტო კეთილხმოვნებით, არამედ აგრეთვე მგზნებარეობითაც. აქაც ვანო იჩენდა თავის მონაცერწელე ტემპერამენტს.

მაგალითად, „ჰუგენოტების“ იმავე დიდ დუეტში იგი იღველფებოდა ისეთი ვნებიანობით, რომ სცენასაც და დარბაზსაც თითქო უხილავი ცეცხლი ეკიდებოდა. აქ ყოველი ბგერა თანაზომიერი იყო: ფორტე და პიანო, საშუალო და დაბალი ფარდები ისე იყო შეხამებული, რომ ერთი მეორეს არა სჭარბობდა და ჰქმნიდა ხმის გთლიანობისა და ბგერათა სავსიანობის იერს. ასე რომ, როდი ისურვებდით, ახ, ნეტავი ხმას მეტი სიმჭახე ან მეტი სინაზე ჰქონდესო. ეს იყო სრულყოფილი სტილი მღერისა.

და ეს მაშინ, როდესაც ვანოს უკვე თან
აღარ ახლდა თავისი წინანდელი, პირველი
ხნის ტემპრი.

სამაგიეროდ, ხელს უწყობდა არტისტული
გამოცდილება, მღერის ოსტატობა და რომან-
ტიული ბუნება.

მუსიკა და რომანტიზმი განუყრელი მეუღ-
ლენი არიან. ისე არა აძლიერებს რა სიტყვით
გადმოსაცემ ემოციას, განცდას, ისე არა ჰმო-
სავს რა სიტყვას აღმაფრენის იერით, რო-
გორც მუსიკა.

და ვანო მუსიკაში, შეიძლება ცხოვრებაში-
ც, ინტუიტურად ნამდვილი რომანტიკოსი
იყო.

* * *

რა იქნებოდა ვანო სარაჯიშვილი, დრამის
არტისტი რომ ყოფილიყო — არ ვიცი და ვერც
წარმომადგენია. ხოლო ოპერის სცენაზე იგი
საუცხოო შთაბეჭდილებას სტოვებდა, რასა-
კვირველია იმის შემდეგ, რაც კი ამ სცენაზე
გაშინაურდა.

შე უკვე ზევით გაკვრით ალვნიშნე, რა ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ საერთოდ მომღერალი არტისტის, განსაკუთრებით ტენორის, სცენიურ შემოქმედებას.

ხანგრძლივმა დაკვირვებამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რამ:

თუ მომღერალს ცოტაოდენი ეგრეთწოდებული სცენიური მომხიბლაობა გააჩნია (მარტო კარგ თვალტანადობას არა ვგულისხმობ);

თუ თავისუფლად გრძნობას იგი თავს უჩვეულო ტანისამოსში;

თუ მუდამ „მოტკბოდ“ არ იღიმება მღერის დროს ან ერთავად ცხვირპირი არ ჩამოსტარის, თითქო გოსალოდნელი მაღალი ნოტა აფიქრებდეს;

თუ ბოძივით უმოძრაოდ არ ურწვია ერთ ადგილას ან უაზროდ არა შლის ხელებს—ისიც არიტმულად;

თუ მოჯადოებულივით ლოტბარს არ მისჩერებია მაშინაც კი, როდესაც თავის სატრფიალო საგანს უნდა სჭამდეს თვალით,—

რა გაეწყოვა?—ამ მცირესაც უნდა დავ-

ჭერდე, თუ კი მომღერალი კარგად მღერის
და რაოდენადმე მატკბობს ესთეტიკურად...

მაგრამ არის ერთგვარი შტამპი „ოპერული
თამაშობისა“, ეგრეთწოდებული (რუსეთში)
„ვამპუკიზმი“, რომელიც სრულ აქტიორულ
უნიათობაზე უარესია.

„ვამპუკა“—პაროდიაა, ოპერის სახელ და-
წერილი ხუმრობა. აქ მოსწრებულად მასხა-
რად აგდებულია ძველი, უმთავრესად იტალი-
ური, ოპერების უშინაარსობა, ერთი მეორე-
ზე დამოუკიდებელ უჩვეულო მოვლენათა არევ-
დარევით თავმოყრა, ბევრი კურიოზული გა-
უგებრობა, რაც, მართლა, უხვად გხვდებათ
წინანდელ ოპერებში. მუსიკა სიტყვას არ ეკი-
ლოკავება, სიტყვა მოქმედების აზრს და სხვა
მისთ.

ამ პაროდიის განმსახიერებელი არტისტები
ჰქმნილნენ ბევრ სასაცილო, ოპერული შტამ-
პის კვიმატურად დაშახასიათებელ მიზანსცე-
ნას და საოხუნჯო სახეს.

მაგალითად, ვამპუკა (სოპრანო—აფრიკის დე-
დოფალი) და ლოდირე (ტენორი, ალბათ, ევრო-
პელი მოგზაური—აქ, მგონია, ნაგულისხმევია

მეიერბერის ცნობილი ოპერა „აფრიკული ქალი“) ყელიყელ გადაჭდობილნი სხედან და დუეტს მღერიან. გახურებული ხვევნა-კოცნის მოქენტში ტენორს მაღალი ლამაზი ნოტის აზი-დვის დრო მოუწევს. იგი გამოუსხლტება ქალს ხელიდან, მიირბენს რამპასთან, დადგება ლოტ-ბარის პირდაპირ, გასტყორცნის დარბაზისა-კენ ამ ლამაზ მაღალ ნოტას, თანაც უგრძელეს ფერმატის გაუკეთებს და თავმოწონებით კუ-ლისებში გავარდება.

იცოდეთ, ჯერ მათი დუეტი არ გათავებულა, მაშასადამე, სცენიდან გასვლის დრო არ დამდგარა. მხოლოდ ტენორი გარბის იმიტომ, რომ დარწმუნებულია, მისი მკვეთრი დაძახი-ლით აღტაცებული საზოგადოება უეჭველად გამოიწვევს მას, გაამეორებინებს ამ ლამაზ ნო-ტას და შემდეგ იგი განაგრძობს დუეტს.

რამდენი მინახავს ამის მსგავსი კურიოზი თვით ოპერებში, ისიც—სერიოზულ ოპერებ-ში?!

აი, თუნდაც „ჰუგენოტებში“... მესამე მოქ-მედების სეფტეტის ბოლოს, როდესაც ტენორ-მა უმაღლესი ნოტა უტ-დიეზი (დო-დიეზი)

უნდა აზიდოს, — ის რა იტალიელი მომღერალი იქნებოდა, ისიც საყვირის მსგავს ხმიანი, რომ, მახვილამოწვდილი სცენის სიღრმიდან რამპამდე ამ გამაყრუებელი დაძახილით არ წამოსულიყო და აქ, უკანასკნელი დაჭიქებისა და მახვილის შეთამაშების შემდეგ, კულისებში არ გასულიყო კოხტა რბენით... მოქმედების შიმდინარეობით კი ამ დაძახილის შემდეგ უშუალოდ დუელი იწყება, ასე რომ სცენიდან გასვლა უხამსი ტრიუკი იყო, უფრო ძლიერი ტაშის გამოწვევისა და სასიმღერო ნომრის უფრო „ეფექტიანად“ გათავებისათვის.

ეს რად გინდათ? აი, თუნდა დღესაც... გინახავთ განა ისეთი ბარიტონი („ევგ. ონეგ.“), რომელიც არიობო „Увы! Сомнения нет—“ის შემდეგ რბენით არ გავიდეს საზეიმო (ბალი) დარბაზიდან? ან ფიგაროს როლში („სევილიელი დალაჭი“) „ლარგო“ არის შემდეგ კულისებისაკენ არ გაირჩინოს, სწორედ იქითკენ, საიდანაც შემოვიდა.

ოპერის თავისებურებამ მომღერლებს ბევრი ასეთი კურიოზული სცენიური მოქმედება

შეაქმნევინა, რაც თითქმის მემკვიდრეობით გადაღიოდა თაობიდან თაობაზე. ბევრსა სწერდნენ, ბევრსა დაობდნენ ამის თაობაზე, მაგრამ მრავალი უაზრობა და ყველასათვის ადვილად შესამჩნევი სასაცილო „მიზანსცენა“ დღემდე ტრადიციად არის დარჩენილი.

სხვათა შორის, მომლერლებისათვის, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, პირდაპირ დაუძლეველი ამოცანაა სცენაზე პაუზის მხატვრულად განსახიერება. ხშირია ხოლმე ისეთი მომენტი როდესაც ერთი პარტნიორი, ვითომ თავის თავს ელაპარაკებაო, ორი.სამი წუთის განმავლობაში მლერის და სხვადასხვა ფიორიტურებს აკეთებს. მეორე კი იქვე დგას და სდუმს, ვიღრე სიმლერაში მისი ჩარევის დრო დადგებოდეს. აი, ასეთი პაუზის რაიმე სცენიური მოქმედებით ამეტყველება ძალიან ძნელია და დიდ უნარს მოითხოვს არტისტისაგან. თუ არ გინდა უსიცოცხლო ფიგურად იდგე რეპლიკის მოლოდინში, აუცილებელია — პოზით, სახის მოძრაობით გამოხატო, რას განიცდი ამ დუმილის დროს.

ნაგალითად, იმავე „ჰუგენოტების“ მეორე მოქმედებაში არის მარგარიტა ვალუას (დე-ლოფალი მარგო) და რაულის (ტენორი — რა-ი დი) შეხვედრა. ქალის მშვენებით ტყვევნილი რაული ეკითხება — მითხარი, მშვენების ღმე-რთავ, ვის ეკუთვნის ეს სამოთხე (სცენა ბალ-შია), გევედრები მითხრა, მიწაზე ვარ თუ ცა-ზეო.

ქალი ამაზე პასუხს არა სცენს და თავისთ-ვის ლაპარაკობს — რა მოხდენილი ჭაბუკია, რა ტკბილად ჩაესმის ყურს მისი ალერსიანი სიტყვები, რა აღვილად შემეძლო მისი მოხიბ-ლვა, მაგრამ ვალენტინას (რაულის მოტრფია-ლეს) რა პასუხი გავცეო, და სხვა მისთ...

სიმღერით ეს — საკმაოდ გრძელი ამბავი გა-ბოდის. რა უნდა აკეთოს ამ დროს რაულმა? არაფერი იმის გარდა, რომ მიიღოს ლამაზი პოზა და სახეზე აღტაცება აღიბეჭდოს, აღ-ტაცება, რომელიც თანდათან მატულობს, ვიდ-რე მისი მღერის დრო დადგებოდეს.

მაგრამ ამას ხომ უნარი უნდა. ხუმრობა საქმეა — სამ წუთს მდუმარებდე და სახით მეტ-ყველებდე?! ასეთი რამ შეეძლო ჩვენს დრამა-

ტიულ სცენაზე ლადო მესხიშვილს. ხოლო ამგვარი იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული მოძლერალთა შორის ათასში ერთი თუ გამოერია — დიდი საქმეა.

და იწყება მიმიკური „შემოქმედება“...

ზოგი, ვინც ერთობ წყალწალებულია, დგას თავისთვის უნდილად და გვონიათ — ეს არის დაამთქნარებსო. ზოგი, ვისაც ჰვინია ლამაზი, მაშასადამე, მეტყველი სახე მაქვსო (და რომელ თავმომწონე ტენორს ეს არა ჰვინია?!), ისეთ „პოეტურ ოცნებას“ გამოხატავს სახეზე, რომ... მკვდარს ფეხს გააქნევინებს. ზოგი კივჭივით უკანა პლანზე დაფარფატებს და, ვითომ წალკოტის მშვენებით აღტაცებული, ხამუშ-ხამუშ შედგება და განცვიფრების ნიშნად სულელურად ხელებს ასავსავებს. თანაც იმას არად დაგიდევთ, რომ დიდრონი რაინდული დეზების წყარუნით თავის პარტნიორ ქალს მღერას უშლის. ეხურებით? იგი „თამაშობს“, „პაუზას აცოცხლებს“!

გადაჭარბება არ გეგონოთ. ყოველივე ეს ჩემი „ბედნიერი თვალით“ მრავალჯერ მინახავს.

და კიდევ რამდენი ასეთი „ვამპუკური“ ქუ-
რიობებით იყო და არის სავსე ეგრეთწოდე-
ბული ობერული სცენიური შემოქმედება! სად
ჩამოვთვალო?

* * *

ჩვენში საყოველთაო აზრი არსებობს — ვანო
მხატვრულად გამოკვეთილ სცენიურ სახეებს
ჰქონიდაო.

ეს არაერთხელ თქმულა და დაწერილა.

ძალიან დიდი შეფასებაა არტისტისა, გან-
საკუთრებით მომღერლისა, ისიც ტენორისა!

ასეთი რამ, საერთოდ, ცოტა ვისმეზე თქმუ-
ლა. ვგულისხმობ მომღერალ არტისტს. მაგა-
ლითად, შალიაპინზე... და შალიაპინი ხომ
თითქმის ერთადერთი იყო.

როდესაც დრამატიულ არტისტზე ამას ამ-
ბობენ — ეს იმას ნიშნავს, რომ არტისტი იძ-
ლევა ამათუიმ სცენიურ სახის ისეთ ინტერ-
პრეტაციას, რაც სხვას არ მოუკია. იგი ჰქონის
სულ ახალ სახეს, ყოველმხრით თავისებურს.
ასე ვგულისხმობ მე ამ შეუასებას.

როდესაც ამასვე ოპერის ტენორზე აშბობენ—ეს შეფასება ერთიათად მატულობსრადგანაც ტენორი უფროსერთ შემთხვევაში არავითარ სცენიურ სახეს არ იძლევა. ჩემის დაკვირვებით, რასაკვირველია.

მთელ ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთად-ერთი შემთხვევა მახსოვს, როდესაც ტენორმა სცადა ორიგინალური რამ შტრიხი შეეტანა განსასახიერებელ როლში. ეს იყო ტენორი კოზლოვსკი ჰერცოგის როლში („რიგოლეტო“). მეოთხე მოქმედების შესანიშნავ კვარტეტში სახის მეტყველებით და ხელების თავისებური მოძრაობით იგი გვიჩვენებდა, რომ ჰერცოგი თითქო დასცინის მაღალენას, უტკბესი სამიჯნურო სიტყვებით რომ მიმართავს.

აქ, ჩემის აზრით, არტისტს ნახტომი შეეშალა. ეს ახალი ორიგინალური შტრიხი, ვითომ ჰერცოგის ფუქსავატი ხასიათის მაჩვენებელი, სრულიად შეუსაბამო იყო. არც სიტყვები, არც მით უფრო მგზნებარე მუსიკა სულაც არ იძლევა იმის ნიშნებს, ვითომც ჰერცოგის „გატაცება“ ჭრიარი არ იყოს. ჰერცოგის მომხიბლაობა—ისე, როგორც დონ-უე-

ანისა — სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ უწყებულ წამს იგი გულწრფელია თავის გრძნობაში, და სიყალბე არ არის მაღალენასაღმი მიმართული სიტყვები — ერთი შენი ალერსიანი სიტყვით შევიძლიან გულის წყლული გამიმთელოთ. სწორედ ეს სიწრფოება, ეს უშუალო გატაცებაა ის ძალა, რაც თანაბრად იჩიდავს მისკენ უმანკო ჯილდასაც და ტრფიალების საჭმეში დიდად გაქნილ მაღალენასაც, რომელსაც მოჩვენებული, ყალბი გრძნობით ვერ მოატყუებ.

და თუ ეს კეთილი განზრახვა ჭკვიანი არ-ტისტისა უნაყოფოდ დარჩა — მხოლოდ იმიტომ, რომ მეტისმეტად ძნელია ამათუიმ ოპერაში ტენორისათვის უკვე შექმნილი სცენიური სახის განსხვავერება, რადგანაც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ასეთი სახეები ნამდვილად უსახონი არიან.

ყოველივე ზეგით აღნიშნულის შემდეგ, ვიმეორებ, იმის თქმა — ვანო მხატვრულად გამოკვეთოლ სცენიურ სახეებს ჰქმნიდაო — დიდი შეფასებაა, რაც პირადად მე, მისი ნიჭის თაყვანისმცემელს, შემიძლიან მხოლოდ ნაწილობ-

რივ გავიზიარო. და ვეცდები ავხსნა, საიდან
მომდინარეობს ეს აზრი ვანოს სცენიურ ხე-
ლოვნებაზე.

ჩემის აზრით, ვანოს განსაკუთრებული, გან-
სხვავებული სცენიური სახეები არ შეუქმნია
იმათთან შედარებით, რასაც ოპერაში სხვა
კარგი არტისტები იძლეოდნენ. მე აქ არა ვგუ-
ლისხმობ მის მიერ ქართულ ოპერებში მოცე-
მულ სახეებს.

რასაკვირველია, ვანოს--ისე, როგორც იმ
კარგ არტისტებს--არაფერი „ვამპუკური“ არა
ეძრახვის რა, ვერაფერს კურიოზულს მის თა-
მაშობაში ვერ ნახავდით. თვით კარიერის და-
საწყისშიაც კი. ამისათვის ვანოს მეტად აზი-
ზი არტისტული ალლო ჰქონდა.

მეხსიერებაში ვიყურები... მინდა წარმოვიდ-
გნო ვანო სხვალასხვა როლში. მრავალ უსახო
სახეზე არას ვიტყვი. აქ „പუშკა“-ტენორის
ლირსების გარდა, ე. ი. ლამაზი, გრძნობიერი
სიმღერისა და ეფექტიანი ფიგურის გარდა,
თითქმის არაფრის მოცემა არ შეიძლება. გა-
ვიხსენებ მხოლოდ დონ-ხოზეს („კარმენი“),
გერმანს („პიკავაია დამა“), ლენსკის („ევგე-

ნი ონეგინი“) და რაულს („ჰუგენოტები“).
ესეც საკმარისია.

თვალწინ მიღვა ვანო აი, ამ როლებში. შა-
გონდება ყოველი მისი ჩოძრაობა, სახის შეტ-
ყველება, უესტი, ე. ი. ყოველივე ის, რაც ოპე-
რაში სცენიურ სახეს ახასიათებს. ვიგონებ აგ-
რეთვე სხვა არტისტებსაც — ფიგნერს, დავი-
დოვს, ალჩევსკის, სობინოვს ამავე როლებში.
და შემიძლიან გაბედვითა ვთქვა, რომ ძირი-
თადად სცენიური ინტერპრეტაცია ხსენებუ-
ლი როლებისა, ვანოსა და ამ არტისტების მი-
ერ მოცემული, არაფრით არ განსხვავდება.
სახეები ერთნაირია, როგორც ხასიათები, და
თუ მათ შორის არის რაიმე განსხვავება — მხო-
ლოდ იერული, რამდენადაც ეს დამოკიდებუ-
ლი იყო მათ გარეგან და შინაგან ინდივიდუ-
ალობაზე.

აქ იმის თქმა არ შეიძლება, რომ ვანოს
დონ-ხოზე, გერმანი, რაული ან ლენსკი სხვანი
იყვნენ, როგორც ხასიათები, ვიდრე ფიგნე-
რისა, დავიდოვისა, ალჩევსკისა ან სობინო-
ვისა — ისე, როგორც ამ არტისტების მიერ

შექმნილი სახეები არ განირჩეოდნენ ერთშანეთისაგან, როგორც სცენიური ხასიათები.

მე შემეძლო სათითაოდ ჩამომეოთვალა, ვინ რას აკეთებდა სცენიურად ამათუიმ როლში, რადგანაც ისინი ამ როლებში არაერთხელ მინახავს, მაგრამ ეს ძალიან ბევრ დროს და ადგილს წამართმევს და შეიძლება მოსაწყენიც გამოვიდეს. ამიტომ, ისევ მარტოოდენ თეზისურ განცხადებას ვჯერდები: ვანოსა და სხვა კარგი არტისტების მიერ შექმნილი სცენიური სახეები, როგორც ხასიათები, თანაბარნი იყვნენ. სხვათა შორის, აქ ლაპარაკი დამოუკიდებელ შემოქმედებაზე არც კი შეიძლება. ეს იყო ძველადანვე ტრადიციულად მიღებული სცენიური ხასიათები. აქ თუ ითქმის რამე—მხოლოდ ცალკეულ ნუანსებზე, რაც ამათუიმ ძირითად ხასიათს არა სცვლიდა, და რაც ხშირად დამოკიდებული იყო იმაზე, თუ ვის უფრო მეტი ეფექტიანობა ჰქონდა, უფრო დახვეწილი მანერები, ვის უფრო უხდებოდა ესათუის ტანისამოსი და სხვა მისთ.

ნი ონეგინი“) და რაულს („ჰუგენოტები“).
ესეც საკმარისია.

თვალშინ მიღვა ვანო აი, ამ როლებში. მა-
გონდება ყოველი მისი ჩოძრაობა, სახის შეტ-
ყველება, უესტი, ე.-ი. ყოველივე ის, რაც ოპე-
რაში სცენიურ სახეს ახასიათებს. ვიგონებ აგ-
რეთვე სხვა არტისტებსაც—ფიგნერს, დავი-
დოვს, ალჩევსკის, სობინოვს ამავე როლებში.
და შემიძლიან ვაბედვითა ვთქვა, რომ ძირი-
თადად სცენიური ინტერპრეტაცია ხსენებუ-
ლი როლებისა, ვანოსა და ამ არტისტების მი-
ერ მოცემული, არაფრით არ ვანსხვავდება.
სახეები ერთნაირია, როგორც ხასიათები, და
თუ მათ შორის არის რაიმე ვანსხვავება—მხო-
ლოდ იერული, რამდენადაც ეს დამოკიდებუ-
ლი იყო მათ ვარეგან და შინაგან ინდივიდუ-
ალობაზე.

აქ იმის თქმა არ შეიძლება, რომ ვანოს
დონ-ხოზე, გერმანი, რაული ან ლენსკი სხვანი
იყვნენ, როგორც ხასიათები, ვიდრე ფიგნე-
რისა, დავიდოვისა, ალჩევსკისა ან სობინო-
ვისა—ისე, როგორც ამ არტისტების მიერ

შექმნილი სახეები არ განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან, როგორც სცენიური ხასიათები.

მე შემეძლო სათითაოდ ჩამომცთვალა, ვინ რას აკეთებდა სცენიურად ამათუიმ როლში, რადგანაც ისინი ამ როლებში არაერთხელ მინახავს, მაგრამ ეს ძალიან ბევრ ღროს და ადგილს წამართმევს და შეიძლება მოსაწყენიც გამოვიდეს. ამიტომ, ისევ მარტოოდენ თეზისურ განცხადებას ვჯერდები: ვანოსა და სხვა კარგი არტისტების მიერ შექმნილი სცენიური სახეები, როგორც ხასიათები, თანაბარნი იყვნენ. სხვათა შორის, აქ ლაპარაკი დამოუკიდებელ შემოქმედებაზე არც კი შეიძლება. ეს იყო ძველადანვე ტრადიციულად მიღებული სცენიური ხასიათები. აქ თუ ითქმის რამე—მხოლოდ ცალკეულ ნუანსებზე, რაც ამათუიმ ძირითად ხასიათს არა სცვლიდა, და რაც ხშირად დამოკიდებული იყო იმაზე, თუ ვის უფრო მეტი ეფექტიანობა ჰქონდა, უფრო დახვეწილი მანერები, ვის უფრო უხდებოდა ესათუის ტანისამოსი და სხვა მისთ.

უნდა გვახსოვდეს, რომ ძველადანვე ოპერაში, „ვამპუკიზმთან“ ერთად, როგორც არტასტთა უმრავლესობის დამახასიათებელ მოვლენასთან, იყო აგრეთვე საღი ტრადიციების, როგორც იშვიათი გამონაკლისი.

ძველი დროის რეცენზენტები, მუსიკისმცოდნენი და მემფარისტები გადმოგვცემენ, რომ ზოგიერთი შესანიშნავი მომლერალი—იმავე დროს შესანიშნავი დრამატიული არტისტიც ყოფილა. მაგალითად, ქალებში დები მარია-ფელიციტე მალიბრან და პოლინა ვიარდო—სახელოვანი მომლერლის და კომპოზიტორის გარსიას ქალები—საკვირველ მომლერლობასთან ერთად საკვირველ დრამატიულ ნიჭიაც თურმე იჩენდნენ. კერძოდ, პოლინა ვიარდოს ფილესის სახით მეიერბერის „წინასწარმეტყველში“ საოცარი ტრაგიკული ფიგურა შეუქმნია. ამ როლს, მართლაც, დიდი დრამატიული ნიჭი თუ დასძლევს. აჩასვე ამბობენ ტენორ ტამბერლიკზე, რუბინის შემდეგ საუკეთესო მომლერალზე, რომლის უტ დიეზს განცვითრებაში მოჰყავდა საზოგადოება. ასეთივე კარგი არტისტები ყოფილან ტენორები მარიო,

ნურრი, დიუპრე და სხვანი. ბასებზე და ბარიტონებზე უფრო მეტი ითქმის, მაგალითად, ლაბლაშჩე, კოტონიზე და სხვებზე.

უეჭველია, ამ საღი ტრადიციებიდან მომდინარეობს ზემოაღნიშნული როლების საერთო ინტერპრეტაცია, რომელიც დროთა განმავლობაში თანდაობან იხვეწებოდა. ამმხრივ ძალიან საყურადღებოა რუსი მომღერლების მოღვაწეობა — საუკეთესოთა მათგან, რასაკვირველია. ეს მომღერლები თუ ვკალური ბელოვნებით უცხოელთ საკმაოდ ჩამოუვარდებოდნენ, საზაგიეროდ — დრამატიული ხელოვნებით მათზე გაცილებით მაღლა იღვნენ.

ამრიგად, თვით ოპერის წიაღში ძველადანვე ჩვენ ვხედავთ ორ სხვადასხვა ნაკადს: ერთია — მეტად ძლიერ გავრცელებული — „ვამპუკიზმი“ და მეორე — თუმცა უფრო ნაკლებ გავრცელებული, ნავრამ მხატვრული. ერთის ხვედრნი იყვნენ მრავალნი, შეიძლება, შესანიშნავი მომღერალნიც, მაგრამ დრამატიული ნიჭით ან, საზოგადოდ, ხელოვნების არსის შევნებით უნიათონი, ხოლო მეორისა — ცოტანი, მაგრამ ამმხრივ რჩეულნი.

მაშასადამე, აქ ლაპარაკი შეიძლება არა დამოუკიდებელ შემოქმედებაზე, არამედ იმაზე,

რომ თავისი მხატვრული ალლოს წყალობით ვანომ შეითვისა საღი ტრადიციები და არა „ვაძლევიზმი“.

და თუ მაინცა და მაინც ვანოს მიერ სცენიურად განსახიერებულ როლებში ჩვენ ვხედავთ დრამატიულობის უფრო შეტ მკაფიობას, მეტ სიმკვეთრეს, მეტ ფერადოვნებას, ვიდრე სხვებისაში, ამის სათავე, ჩემის აზრით, იგივე მისი განსაკუთრებული მუსიკალური ინტუიცია იყო, მისი მგზნებარეობა ამმხრივ. იგი მუსიკალურ ფრაზას უფრო ძლიერად გრძნობდა, ვიდრე სიტყვიერს. და სწორედ ეს მუსიკალური ალძვრა, ეს მუსიკალური რომანტიზმი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჰავერავდა, აცხოველებდა მის ამათუიმ თავისთავად ჩვეულებრივ სცენიურ მოქმედებას, მით უფრო, რომ ყველაფერი შესწევდა იმისათვის, რათა ეს მოქმედება მეტყველი და ეფექტიანი ყოვილიყო.

აი, ასეთი განმარტებით შემიძლიან გავიზიარო ის საყოველთაო აზრი, რომ ვანო, მართლაც, იძლეოდა მხატვრულად გამოკვეთილ სცენიურ სახეებს.

ოპერის გარდა, ვანო იშვიათი საკონცერტო მომღერალი იყო. ამისათვის მას ჰქონდა საუცხოო დიქტია, მეტყველი ფრაზა და მუსიკის პიესის სტილის შევნების უნარი.

* * *

ვანო ქართული ოპერების მიმრემელი იყო, როგორც ამ ოპერების მთავარ გმირთა როლების აღმსრულებელი. ამმხრივ მისი მნიშვნელობა დიდია და სწორუპოვარი.

არ ვიცი, რა მწვერვალებს მიაღწევს მომავალი განვითარება ჩვენი, ქართული, ვოკალური ხელოვნებისა. და რომ იგი ამ მწვერვალებს უწვევლად დაიბყრობს — მე ამაზე სრულიად დარწმუნებული ვარ. ძაგრამ ვანო მაინც დარჩება ამ ხელოვნების ისტორიაში იმ ხელოვნად, რომელმაც გვიჩვენა, რომ ქართულ მუსიკას თავისი საკუთარი სახე აქვს და აი, ამ სახის გამოვლინება მღერაში მოითხოვს თვით დახელოვნებული პროფესიონალი მომღერლისაგან რაღაც იმაზე მეტს, რასაც მას საერთოდ ვოკალური მეცნიერება ასწავლის.

ვინც ქართული მელოდიის ბუნება იცის და
მისი მიღრეკილება მელიზმებისადმი (მელო-
დიის მორთულობა), ის მიხვედრილია, რომ ეს
მელოდია ვერა თავსიღება იმ ნახევარტონებში,
რომლებიც შეადგენენ ახლანდელ ევროპულ
გამზას. ხმის ტრიალი, ლიდლივი ამ გზით მოქ-
ცეულია ნახევარტონებში. ეს არის უმცირესი
ფარგალი, რომლის გარეშე სხვა, ნახევარტონ-
ზე მცირე ნაწილაკი ტონისა არ არსებობს
ნოტურ სისტემაში და საამისო ნიშნები არ
არის შემოღებული.

ამავე დროს აღამიანის ხმას და ზოგიერთ
საკრავს,—ხოლო არა ფორტეპიანოს, არა ორ-
ლანს,—მოსდგამთ ნახევარტონზე უფრო მცი-
რე ნაწილაკი ტონი. ძველი ბერძნების ეგრეთ-
წოდებული ენპარმონიზმი უეჭველად ამას გუ-
ლისხმობდა, როდესაც ნახევარტონს ანაწევ-
რებდა და ჰქმნიდა მეოთხედტონს. ევროპულა
მუსიკის თეორიით ეს მეოთხედტონები თა-
ნამთხვევ ტონებად ითვლებიან და ცალკეუ-
ლად არ გამოიყოფიან.

მე არ ვიცი, ტონის ის ნაწილაკები, რაც
ქართულ მელოდიაში არსებობს და რაც უეჭ-

ველად ნახევარტონზე მცირეა, მეოთხედტონებს უდრიან, თუ ამაზედაც ნაკლები არიან, მაგრამ ერთი რამ აშკარაა... ხშირად სწორედ ამ ნაწილაკებისაგან შემდგარი გრეხილოვანი ბგერები და განსაკუთრებით კი მელიზმები ჰქმნიან ქართული მელოდიის თავისებურებას და განსხვავებულ ლამაზ იერს აძლევენ მელოდიას. ასეთი ბგერები და მელიზმები ნახევარტონებითაც გაღმოიცემა, მაგრამ ქართულ მელოდიაში ბგერათა ასეთი წყობა ლარიბად გამოისმის და უკარგავს მას. ხასიათის იერია-ანობას. ერთის სიტყვით, ევროპული გამშა ქართული მელოდიისათვის პირდაპირ პროკრუსტის სარეცელია, რომელზედაც იგი ხში-რად, კომპოზიტორის უნებურად, ჰკარგავს თავის საუკეთესო, დამახასიათებელ ნაკვთებს.

ამ საგანზე მე, არასპეციალისტსაც კი, ბევ-რი რამ შემეძლო დამეწერა და მაგალითებიც მომეუვანა, მაგრამ ეს ჩემი წერილის საგანს არ შეადგენს. მხოლოდ გაკვრით შევეხე მას — იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა ვანო სა-რაჯიშვილის მხატვრული ალლოს დასახასია-თებლად.

სწორედ ვანო იყო ის, შეიძლება ითქვას, ერთადერთი მომღერალი, რომელიც საკვირვლად გრძნობდა ქართული მელოდიის თავისებურებას და რომელიც თავის სასიმღერო ჰანგებს ქართულ ოპერებსა თუ საკონცერტო ნომრებზე ქართული იერით ჰმოსავდა.

მან შექმნა ქართული სიმღერის აღსრულების სტილი.

ვაიხსენეთ, მაგალითად, მისი „ურმული“-ს მელანქოლიური სინარნარით მოსევადებული მოლივლივე კილო, ან „ინდი-მინდის“ გურული სიმკვირცხლით სავსე ხმაგრეხილობა, სიკისკასე. არას ვამბობ აბესალომის ისეთ პირწაფარდნილ ქართულ ფრაზაზე, როგორიც იყო „ჰე-ე-იჰ! ვის გინდათ ქალი ეთერი?“, ან მალხაზის „თავო ჩემოზე“ და სხვებზე, რასაც იგი ოპერებში ამეტყველებდა წმინდა ქართული სტილით.

ვანოს სიმღერის ქართული იერიანობა ნათლად გამომჟღავნდა, როდესაც იგი; ტენორი ზალიპსკის შემდეგ, აბესალომის როლში გამოვიდა.

აბესალომის პარტია პირველად ზალიპსკიში იმღერა. ზალიპსკი ძალიან კარგი მომღერალი იყო, ლამაზხმიანი და ჩინებული ვოკალისტი. იგი მშვენივრად მღეროდა. წარმოიდგინეთ, ქართული გამოთქმისათვისაც არ უმტყუცნია, თუმცა ქართული ენა სრულიადაც არ იცოდა. მაშინ ვერც კი ვამჩნევდით, აკლდა რამე თუ არა მას ამ მღერაში. სცენიურად კი იგი საკმაოდ სუსტი იყო. გარეგნობა ხელს არ უწყობდა.

მაგრამ, როდესაც მის შამდეგ ამავე როლში ვანო გამოვიდა, მაშინ მივხვდით, რაც აკლდა ზალიპსკის. აკლდა ქართული სიმღერის სული, ქართული იერი, რაც, პირიქით, ვანოს უხვალ ჰქონდა.

ესევე ნათლად გამომულავნდა „აბესალომის“ იმ პირველ წარმოდგენაში, რომელიც ვანოს სიკვდილის შემდეგ გაიმართა.

კოტე მარჯანიშვილი ხომ საკვირველი ფანტაზიის კაცი იყო. აი, მისი მხატვრული გაქანების მეოხებით მოხდა ის, რაც დედამიწის ზურგზე არც მომხდარა და არც არავის მოს-

ვლია აზრად. ეს მხრილოდ კოტეს მგზნებარე
ფანტაზიის აფეთქებას შეეძლო.

„აბესალომი“ დაიდგა უაბესალომოდ.

მის პარტიას უკრავდა ვიოლონჩელო (არ-
ტისტი კაპელნიცკი). ხოლო აბესალომის ნაც-
ვლად სცენაზე მოძრაობდა დისკოსებური შუ-
ჭი, რომელიც ადგილს იცვლიდა ხოლმე იმის
მიხედვით, თუ რა პოზიცია უნდა სჭროდა
აბესალომს სცენაზე ამათუიმ მომენტში.

მაგალითად, საქორწილო კორტეჯის დროს
შოდიოდა ეთერი ხელვაწვდილი და მას გვერ-
დით მოსდევდა... შუჭი...

ამაურეოლი, გულისმომწყვლელი სანახაობა
იყო. ბევრი ცრემლს ვერ იკავებდა.

ჰო, და... ვიოლონჩელო ხომ მგზნებარე საკ-
რავია. ადამიანის ხმას იგი ყველა საკრავზე
უფრო მეტად უახლოვდება. ამ საკრავზეც შე-
იძლება იმ ნუანსების გადმოცემა, რაც ადა-
მიანის ხმას შეუძლიან. არტისტი ძალიან კარ-
გად უკრავდა აბესალომის პარტიას, მთელი იმ
შეტყველებით, რასაც იგი შეიცავს ნოტებში.
მაგრამ არ იყო იგი სული და გული ქართუ-
ლი მელოდიისა, რასაც ვანო ხმით იძლეოდა.

ამით ის კი არ მინდა ვთქვა, ვითომ ზაქარია
ფალიაშვილის მუსიკას თავისოთავად ქართული
სული და გული აკლდეს. პირიქით — ყოველ
სხვა ლირსებასთან — მისი დიდი ლირსება სწო-
რედ თავანგარ ქართულობაშია. გადმოცემას
არა ჰქონდა ქართულობის იერი, სტილი.

შეტს აღარას ვიტყვი...

მგონი ესეც კმარა ვანოს დასახასიათებლად,
როგორც ქართული მუსიკის მესაი-
იდუმლისა.

რაც შეეხება ვანოს მიერ ქართულ ოპერა-
ში მოცემულ სცენიურ სახეებს... აბა, რა ვთქვა
იმის მეტი, რომ აქ იგი ნამდვილი ფუძემდე-
ბელია და რომ მისი ინტერპრეტაცია ქართუ-
ლი ოპერების გმირებისა — ისე, როგორც მისი
მღერის სტილი — სამუდამოდ საუკეთესო ტრა-
დიციად დარჩება ოპერის სცენაზე!

რა არა ჰქონდა ამისათვის? ყველაფერი. სა-
ხის ოქროპირული მეტყველება, ვაჟკაცური გა-
რეგნობა, უშრეტი მგზნებარეობა, დიქცია,
ფრაზიობა და რა ვიცი, კიდევ რა!..

ჰო... რომანტიზმი... და ჰოეზია შემოქმე-
დებისა!

1938 წ. დეკემბერი.
თბილისი.



აბესალომი („აბესალომ და ეთერი“)



ნადირ („მარგალიტის მაძიებელნი“).



ვანო და ნატა ვაჩინაძე (კიბრისურათი „მამის მკვლელი“)




ડેસન 1909 ફેલા



განო და კაპელნიცები

କୁନ୍ତଳ ଲା ପରିମୂଳର ଗ୍ରହଣ





ვანო ჭაბუკობისას



განო მოწაფეობისას



ვანო ნადირობაზე



ვანო 1905 წელს



გერმან („პიკოვია დამ“)



რადამეს („აიდა“)



ლენსკი („ევგენი ონეგინი“)



ରାଉଳ („କୁଗୁଣତ୍ୟେବି“)

18

8 971